

საქართველოს საქართველო

საქართველო

№ 22.

21 მაისი, 1922 წელი.

№ 22.

საღლეისო.

გენუის კონფერენციამ ვერ მიაღწია თავის მიზანს. მან ვერ მოგვცა ვერც ზავი, ვერც ეკონომიური აღდგენა. მაგრამ მან გამოააშკარავა სრულიად ახალი სულიკვეთება ვეროპის სახელმწიფოებში და ახალი ძალთა განწყობილებას ჩაუყარა საფუძველი. ძველი ანტანტა დაირღვა ფაქტიურათ. ორ მის მთავარ მონაწილეთ— ინგლისსა და საფრანგეთს შორის უდიდესი და უღრმესი ინტერესთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა სწორეთ იმ საკითხში, რომელთა გადაჭრას შეეძლო ვეროპისთვის რამდენიმეთ მყუდრო ცხოვრების მოტანა, — ესაა საკითხი რუსეთის და ალო-აღმოსავლეთის. მეორდება ის, რაც ბალკანეთის ომის შემდეგ მოხდა ამ კუთხის პატარა სახელმწიფოებ შორის. ნადავლის გაცოფაზე აიშალენ ომის მეგობრები და ერთმანეთს უსასტიკესათ გადაეკიდენ. ამას მოყვა მაშინ ახალი ომი და ბულგარეთის დამარცხება. რა მოხდება დღეს? ნუ ვიკისრებთ წინასწარმეტყველებას. თუმცა ეჭვი არაა—უნდა ითქვას, რომ ჰაერში ისეთი სუნი ტრიალებს, ნერვები იმ ზომამდე დაკიპულია, ერთმანეთისადმი დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავება იმ წერტილამდე მიღწეული, რომ ახალი კონფლიქტების აღმოცენება დიდი საკვირველება არ იქნებოდა. ლოიდ ჯორჯი უკვე იმუქრებოდა რუსეთის

ხალხის მოთმინების ფიალის ავსებით, თუ მას მალამო არ მოეცხო. და მართლაც მთავარი საფრთხე მშვიდობიანობას რუსეთიდან მოელის. აქ არის ბლომათ დაგროვილი ასაფეთქებელი მასალა, ხალხის სასოწარკვეთილების და წითელი ჯარის ავანტიურისტული სულიკვეთების სახით. და სწორეთ ამ მთავარ კერას შესაძლებელ უთანხმოებისას, ვერ გაართვა თავი გენუამ; ვერც სიტყვა მოუნახა, ვერც მიიღო, ვერც უარყო. ვეროპას ერთი გაერთიანებული აზრი ამ საკითხზე არ აღმოჩნდა. პოზიცია საფრანგეთის—რომელიც მკაცრათ უარყოფითია ბოლშევიკებისადმი, და პოზიცია ინგლისის—რომელიც მზათაა იგინი იცნას, არსებითათ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მათ შორის შემარიგებელი ხაზი არ მოიპოვება. და ეს წინააღმდეგობა ქმნის ვეროპის ძალთა გათიშვას, დაყოფას და ამოდასუსტებას. ხოლო ეს გამოსადეგია რუსეთისა და გერმანიისათვის, რომელთაც საშვალეება ექვლევათ, განსაკუთრებით უკანასკნელს, ეს წინააღმდეგობანი თავის-სასარგებლოთ გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ რუსეთის უღვევი სიმდიდრე, განსაკუთრებით ნავთი, მეტისმეტი მიმზიდველი აღმოჩნდა ვეროპის და ამერიკის სახელმწიფოთათვის. და ის იძულებული იქნება ამ წინააღმდეგობებს დააწვეს, რადგან მისი მთავარი წყლულები გენუამ მოუშუშებელი დასტოვა—ეს არის ფინანსების და ეკონომიური



აღდგენის საკითხი, რომელიც გენუამ ვერ გადაჭრა.

გენუამ ამ მხრივ განსაცვიფრებელი როლი ითამაშა ევროპის ცხოვრებაში. მან ცველას იმედი გაუტრუა. ლოიდ ჯორჯს, რომელმაც ეჭვი არაა კამპანია წააგო, საფრანგეთს, რომელსაც ინგლისი თითქმის გადაეკიდა, რუსეთმა, რომელსაც იმედი ბაჯალლო ოქროების ჯიბეში ჩაჩხრიალებს სრულიად გაუტრუვდა, ევროპის მცირე სახელმწიფოებსაც, რომელთაც დამშვიდებული ევროპა ენატრებოდა. მოიგეს, თუ მოგება ეთქმის, ისევ ზოგიერთმა კაპიტალისტებმა, რომელთაც გენუის კულისებში გამართეს ვაჭრობა ბოლშევიკების აგენტებთან და რუსეთის სიმდიდრეთა ამა თუ იმ წყაროზე ბრძკალები მოიკიდეს. დღეს-დღეობით ამ სიმდიდრეთა დამუშავებაზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ კაპიტალისტებისთვის მაინც მოგებაა, თუნდაც უფლების მოპოვება დიდი რუსეთის ბუნების სიუხვეზე, რომელსაც სხვა მაინც ველარ წაართმევს. ამრიგათ ეკონომიური აღდგენა გადაიქცა ეკონომიურ არეულობათ, მშვიდობიანობის ლოზუნგი ახალ კონფლიქტების წყაროთ და საყოველთაო დამეგობრება საყოველთაო მტრობათ. გუშინდელი მეგობრები აიშალენ, ახალნი ვერ მორიგდენ. აი ასეთია გენუის კონფერენციის შედეგები.

მაგრამ ამ საერთო ქაოსში მაინც ისახება

ახალი მოსალოდნელი ძალთა უტრუხურთრუხურესა ინგლისის და იტალიის გადახრა გერმანიარუსეთისაკენ, ამ ორი უკანასკნელის მჭიდროთ დაკავშირება, მცირე ანტანტის წევრთა შორის ზოგიერთი წევრების შერცევა, და მეორე მხრივ საფრანგეთ-ამერიკა და საფრანგეთ-იაპონია— მცირე ანტანტის დაახლოვება... მაგრამ ცველას დღეს მხოლოდ ჩანასახია და მათი განვითარება შემდეგი ისტორიული მსვლელობის საქმეა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს გამტოვრი ხაზი სწორეთ ამ საზღვარზე გაივლის და ზომავალში ახალი ცვლილებები არ იცოს მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ ძალთა გადაჯგუფება უფრო დროებით ინტერესებს ემტარება, ვინემ საერთოს და მუდმივს. ამიტომ—ამ გადაჯგუფების მონაწილეთა მისწრაფება ახალი მოკავშირეების შოვნის და მოწინააღმდეგისთვის ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩამოშორების—აი რა იქნება მთავარი საბრძოლველი საგანი უახლოესი პოლიტიკური მუშაობის.

ამ ძალთა ჭიდილში კავკასიის წავთი და კავკასიის ერები მცირე, უმნიშვნელო ძალას არ წარმოადგენენ და მათი წარმომადგენლების მოვალეობაა მათ სათანადო და საიმედო აღგილი მოუქმებონ, რომელიც უზრუნველყოფს მათს არსებით ინტერესებს განვითარებისა და დამოუკიდებლობის საკითხში. ეს იქნება ჩვენი მორიგი ამოცანა.

საქართველოს საკითხი გენუაში.

გენუის კონფერენციასზე.

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

I.


სვანეთის აჯანყებამ და საზოგადოთ პოლიტიკურმა მოძრაობამ საქართველოში უკვე მიიქცია გენუის კონფერენციის ყურადღება.

მთავრობის თავმჯდომარემ, ნ. ჭორდანიამ, ჯერ კიდევ პარიზიდან მიმართა დეპეშით კონფერენციის თავმჯდომარეს და ცველა დელეგაციების მეთაურებს და მოთხოვა მათ შეეჩერებინათ სისხლის დგრა სვანეთში და რეპრესიები დანარჩენ საქართველოში. შემდეგ, როცა საქართველოს დელეგაცია*) ჩამოვიდა გენუაში, მან გასწია დიდი მუშაობა, როგორც დელეგაციაში, ისე პრესაში, რათა ანგარიში გაეწიათ ქართველ

ხალხის საშინელ მდგომარეობისათვის და ძირშივე მოეხსოთ თვით მიზეზი უკანასკნელათ დატრიალებულ ამბებისა: ოკუპაცია ჩვენი ქვეყნისა უცხო ჯარებისაგან.

აქ არსებობს კონფერენციიდან გამოცოდილი ცალკე კომისია რუსეთის საქმეებისთვის, რომელსაც თავმჯდომარეობს იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი, ხოლო მონაწილეობას იღებენ, გარდა იტალიისა, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ბელგიის, შვეიცარიის, შვეციის, პოლონეთის და რუმინიის პირველი დელეგატები. აი ამ კომისიაში შვეციის დელეგატმა და პრემიერმა ბრანტინგმა წაიკითხა

*) დელეგაციაში შედიან: ელჩი აკ. ჩხენკელი—თავმჯდომარე, ირაკლი წერეთელი, სიმ. მდივანი, გრ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი.



ჩვენი თავმჯდომარის დეკეშა და დაცივა იქ მოყვანილი აზრი; მას მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა მოტამ, ხოლო საფრანგეთის დელეგატმა ბარტუმ წინადადება შეიტანა მინდობიდა შანცერს, თავმჯდომარეს, ნაბიჯი გადაედგა რუსეთის დელეგაციის წინაშე; მას მხარი დაუჭირა ლოდ ჯორჯმაც.

შანცერმა, თანახმათ ამ მონდობილობისა, მისწერა ჩიჩერინს წერილი, სადაც მოყვანილია ჩვენი თავმჯდომარის დეკეშა, და მოითხოვა მას შეეჩერებინა სისხლის ღერა და რეპრესიები საქართველოში. ჩიჩერინი, როგორც გავიგეთ, ყოყმანობდა პირველათ, მაგრამ, როცა დაინახა პრესის ახმაურება და მიუქმა-მოქმა თვით კონფერენციის წრეებში, იძულებული შეიქნა წერილობითვე გაეცა პასუხი შანცერისათვის.

აქვე გიგზავნით ყურნალში მოსათავსებლათ როგორც ჩიჩერინის წერილს, ისე საქართველოს ელჩის სახელით გაცემულ პასუხს მასზე.

ჩიჩერინი პირწმინდათ უარყოფს აჯანყებას სვანეთში, კანონიერ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ყორანიას ეძახის «ყერძო პირს» და გაკვირვებასაც კი გამოსთქვამს, რომ საქართველოს შესახებ, რომელიც არ მოუწვევიათ გენუაში და რომელსაც «ნამდვილი წარმომადგენელი ყავს» აქ (ბუღუ მდივანი!), კითხვას სძრავს კოძისია.

მაგრამ იგივე ჩიჩერინი ვერ ითმენს, რომ თავისებური პროპაგანდა ზედ არ მიაცოლოს თავის ნოტას. ის ჩამოთვლის ჩაგრულ ერებს ევროპაში, აზიაში და თვით აფრიკაშიც და საყვედურით მიმართავს სათანადო მთავრობათ ამ უსამართლობისთვის. ერთი სიტყვით, გაღმა ედავება, რომ გამოღმა მოიგოს. ის სირაქლემასავით ფიქრობს, რომ ვერ დაინახვენ მის უტიფარ თავს, რომელიც ურეც განზრახ ერთმანეთში ქართველებს და სხვა, მისგან დასახელებულ ერებს. რუსეთმა დასდო საქართველოსთან ნამდვილი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალით მან იცნო საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და მის საქმეებში ჩაურევლობა,—მაშინ როდესაც არასფერი ამის მსგავსი არ დაუდგიათ მისგან ჩამოთვლილ ერებთან. ასეთია კრემლის მარტივი აზროვნება: ამბობენ სისულელეს, რომელიც თვითონაც არ სჯერათ.

იმავე დროს ჩიჩერინი წინადადებას აძლევს

კონფერენციას: მოდით განვიხილოთ ერთა პრობლემა,—და ეს, რა თქმა უნდა, იმ რწმენით, რომ მისი, წინადადება უარყოფილი იქნება. მაგრამ საქართველოს დელეგაციამ საქიროდ დაინახა ესარგებლნა ამ წინადადებით და თავის პასუხში მოითხოვა რომ კონფერენციას განეხილა საქართველოს კითხვა და გამოეშვა რავებინა ყველაფერი, რაც იქ ამ ქამად ხდებო. მან მოითხოვა პლებისციტი ხალხის ნებისყოფის გასაგებათ.

დელეგაცია ცდილობს შეათვისებინოს ყველას მისი თვალთსაზრისი, გადაადგმევინოს კონფერენციას უფრო გაბედული ნაბიჯები, მაგრამ ეს არაა, სამწუხაროთ, მისგან დამოკიდებული. აქ ყველა დელეგატებს ის აკერიათ ენაზე, რომ კონფერენცია ვერ შეეხება პოლიტიკურ კითხვებს, თუმცა, როგორც პრესიდან იცით, მხოლოდ ამ კითხვებს ანდომებენ აქ ყველაზე მეტდროს! საქართველოს მოუწვეველობის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ეს წმინდა პოლიტიკური კითხვა არისო. მიუხედავთ იმისა, რომ ჩვენი დელეგაცია არ იღებს კონფერენციაზე პირდაპირ მონაწილეობას, საქართველოს საკითხი ყველას თვალში ეჩხირება, როგორც უდიდესი ბოროტება მოსკოვის ბატონების მიერ ჩადენილი.

II.

რაპალოს რუს-გერმანულმა ხელშეკრულებამ, ცოტა დააკლდა, კინაღამ ააფეთქა უდროოთ კონფერენცია. გენუაში საერთო შეთანხმებისთვის მოწვეულნ გერმანია და რუსეთი სემპრატიულათ შეთანხმდენ. ამის გამო ერთნი სხტად დარჩენ, ხოლო მეორენი ფიცსულობდა სიზმარშიდაც არ მოგვზმანებია ასეთი საჯაცი საქმეო. «მეორე ბრესტილიტოვსკი!»—აი საერთო ამოძახილი.

მახლობელი შედეგი რაპალოს ხელშეკრულებისა არც ისე საფათერაკაოა, როგორც პირველათ მოეჩვენა ყველას. გერმანია უძლური, ხოლო რუსეთი დანგრეული. მაგრამ არ შეილება იმის უარყოფა, რომ ამ შეთანხმებო აღიბეჟდა ახალი ჩაზი საერთაშორისო ძალდა გადაჯგფების.

საინტერესოა, რომ ამ გადაჯგუფების მომქმენდი პირნი დამარცხებულთა ბანაკს ეკუთვნინან. და ამიტომ არაა გასაკვირი, თუ გერმა-

F 11814



ნია-რუსეთის გვერდით ოსმალეთსაც ასახელებენ, როგორც მოკავშირეს.

ამით თითქოს ბათილდება ინგლისის ცდა, ოსმალეთის იზოლიაციისაკენ მიმართული. ლიდიჯორჯი პირიდან დორბლებსა ყრიდა იმის გამო, რომ რუსეთი თავს არ ანებებს ოსმალეთთან «მეგობრობას.»

საფრანგეთი თავის მხრით ეთხოვება ილიუზიას—იხილოს რუსეთი გაერთიანებული და ძლიერი, რომელთანაც მას შეეძლება კავშირის განახლება. პირიქით, მისი ინტერესი დღეს იგივეა, რაც იყო გერმანიის ინტერესი 1918 წ. რუსეთის მის ეთნოგრაფიულ კალაპოტში ჩასმა, მისი დაუძღურება, და იმავე დროს განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობა.

ამ რიგათ, როლები შეცვლილია. გერმანია, რომელიც რუსეთთან მუშაობისაგან გამოელის ხსნას, ვერ განაგრძობს ძველი გზით სვლას. ის უნდა შეურიგდეს, ხელიც უნდა შეუწყოს, თუ გარემოებამ მოითხოვა, მის გაერთიანებას და გაძლიერებას.

ასეთ პირობებში ცხადია, რომ გერმანიის დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოსადმი შეიძლება შეტრიალდეს. მართალია, გერმანიამ პირველმა გვიცნო ევროპის სახელმწიფოთაგან, მაგრამ შეიძლება იგი იძულებულ იქნეს პირველმა წაიღოს ეს ცნობა უკან! ჩვენ მივიღეთ სხვა და სხვა წყაროებიდან რწმუნება, რომ საქართველო არ არის ნაგულისხმევი რაპალოს ხელშეკრულებაში და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში არ მოხდება მოსკოვსა და ბერლინს შორის რაიმე შეთანხმება ამის შესახებ.

რაპალოს ხელშეკრულების ავტორს მალცანს განუცხადებია, მაგალითათ, რომ ჩიჩერინს ჯიბეში აქვს საქართველოს მანდატი და ამიტომ საკმარისია მასთან უბრალო ნოტები გავცვალოთ, რომ საქართველომ რუსეთის დარგლებში ამოყოს თავიო; საქართველო ფაქტიურათ უკვე რუსეთის «ფედერაციაში» შედისო, დაუძენია მას, და ამიტომ თფილისში ელჩის მაგიერ გენერალურ კონსულს გავგზავნით მომავალშიო.

რუსეთი, რომელიც გერმანიამ იცნო, უეჭველია არ დააყოვნებს მოითხოვოს ჩვენი საელჩოს გაუქმება ბერლინში. არ ვფიქრობ, ამ მოთხოვნის სისრულეში მოყვანა ადვილი დარ-

ჩეს, ვინაიდან ჩვენ იქ ბევრი მეგობარი გვყავს. რომელიც სასტიკათ შეებრძოლებიან ამას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა ორგულმა «ძმებმა» —ბოლშევიკებმა თავისი უკვე ქნეს. მათ არ აკმარეს წამებულ სამშობლოს უცხო რალებისგან დარბევა, ახლა ისინი ლამობენ მისი სახელის ამოშლას თავისუფალ ერთა სიიდან.

მაგრამ ამოა მათი ცდა. საქართველოს ბედ-ილბალს ისინი ვერ გადაწყვეტენ და ეს იმიტომ, რომ თვით რუსეთის ბედ-ილბალი ბეწგზე კიდია..
ა ჩინი.

მ მ მ რ ა ნ დ უ მ ი

11 აპრილისა, გადაცემული გენუს კონფერენციისთვის.

საქართველოს გადალახვა საბჭოთა ჯარებისაგან 1921 წლის თებერვალსა და მარტში, როდესაც სრული სიმშვიდე იყო რუსეთსა და საქართველოს შორის—დაგმობილი იყო მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრით. ეს უხეში და სრულიად უსაბუთო შემოსევა მოახდინა იმ სახელმწიფომ, რომელიც ცდილობს ეხლა გენუს კონფერენციაზე მიღებულ იქმნას ევროპიელთა ოჯახში.

რამ საქართველოს დაუერა მომზადებული იყო სრულის შეგნებით, რომ აქ საქმე გვაქვს წინასწარ მოფიქრებულ დაცემასთან—ამის უამრავი საბუთი არსებობს და მათი განმეორება ზედმეტი იქნებოდა მით უფრო, რომ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფონი, რომელთაც წარმომადგენლები ეავდათ თფილისში შემოსევის დროს—კარგათ იციან საქმის ნამდვილი მსვლელობა.

იქნებ საკმარისი იყოს იმის გახსენებაც ამ შემთხვევაში, რომ ერთი წლის წინად საქართველოში შემოსევით მოსკოვის მთავრობას სურდა გაემაგრებინა ბაქოს ნავთის მისაღვები, როგორც აღიარა გულახდილათ საბჭოთა უდიდესმა წარმომადგენელმა სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე ბერლინში.

საბჭოთა რეჟიმის დამყარება საქართველოში სამხედრო ძალის საშუალებით, და მისი გაგრძელება იარაღით, მთელი ერის წინააღმდეგ, აი შედეგი საქართველოსაგან განცდილ შემოსევისა.

მიიღეს რა გენუსში თანამშრომლობის უმთავრეს პრინციპად შეექვსე მუხლი კანნის პრო-





გრამისა: «თავის შეკავება ყოველგვარ ძალადობისაგან. მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ» დიდი სახელმწიფოთა მთელი კაცობრიობის აზრის წინაშე ვალდებულნი არიან გააუქმონ ის მდგომარეობა, რომელიც ფორმალურად (პირდაპირ) ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ პრინციპს.

თუ გენუის კონფერენციას, რომელსაც უნდა აღადგინოს კეთილი განწყობილება ხალხთა შორის, — სურს ერთგული იყოს მისივე მიერ საზემოდ განცხადებულ პროგრამისა, მისი მოვალეობა მოითხოვს დაუყენებლივი ჯარის გაყვანა საქართველოდან, ოკუპაციის რეჟიმის მოსპობა და საქართველოს ხალხის თავისუფლების აღდგენა.

2) მოსკოვის მთავრობა არ მოითხოვს საქართველოს, როგორც ნაწილს საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკისა. იცნო რა საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველივე პირობის გარეშე, 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით, მოსკოვის მთავრობა, თითქო აღარ დაობს ამ დამოუკიდებლობაზე, რომელიც ცნობილია თითქმის ყველა სახელმწიფოებისაგან, რომელნიც წარმოადგენილი არიან გენუაში.

და უჭირავს რა საქართველო თავისი ჯარებით, ჩემულობს მხოლოდ თვით ქართველი ხალხის სურვილისამებრ მოქმედებას. უაზრობა ასეთი ახსნისა მეტად ნათელია და უარყოფა არა სჭირია.

შემდეგ მემორანდუმი მოითხოვს ცალკე სახელმწიფოებისაგან და კონფერენციისაგან, რომ ასეთი წინააღმდეგობა აღიარებულ პრინციპებსა და სინამდვილის შორის გამოსწორებულ იქნას, რადგან სხვაფრივ შეუძლებელი იქნება კავკასიის სიმდიდრით სარგებლობა.

ყველა ამისათვის საქართველოს მთავრობა მოითხოვს რომ გაცვანილ იქმნას ბოლშევიკების ჯარი საქართველოდან; რომ მოსკოვის მთავრობას ისევე როგორც თფილისში ოკუპანტების მიერ დაყენებულ პირებს უარი ეთქვას საქართველოს წარმომადგენლობაზე; თუ კონფერენციაზე მსჯელობა იქნება პოლიტიკურ ან ეკონომიურ საკითხებზე, რომელნიც ეხებიან საქართველოს, — უნდა მოუსმინოთ ლეგალურ წარმომადგენლობას. თუ კონფერენცია იცნობს მოსკოვს, როგორც რუსეთის ნამდვილ მთავრობას, საქართველოს ტერიტორია სრულიად გამოყოფილი უნდა იყოს რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებიდან.

ჩხენკელი.

ნ მ ტ ა

რომელიც გადაეცა 3 მაისის გენუის კონ. თავმჯდომარეს ლ. ფაქტას.

ის შელახვა, რომელიც განიცადა საქართველომ 1921 წელს, ბოლშევიკთა ჯარების შემოსევისგან და რომელთაც ეხლაც უკავიათ იგი სამხედრო ძალით, ყველაზე ახალი და ყველაზე თვალში საცემი მაგალითია იმგვარი უსაბაბო შელახვისა, რომლისგანაც სცდილობენ დაიცვან ყველა სახელმწიფო გენუაში შეკრფილმა დიდმა სახელმწიფოებმა — ეგრედ წოდებულ «შეუვალობის» შეთანხმების ხელმოწერით.

სრულიად ბუნებრივია მაშასადამე, თუ ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტის მიხედვით, დიდი სახელმწიფოთა, მოწადინებულნი მშვიდობიანსა და სამართლიანს დამოკიდებულებას ხალხთა შორის და კერძოდ ის სახელმწიფოთა, რომელთაც იცვენს ოკუპაციით დაქვრილ საქართველოს მთავრობა, — ისარგებლებდნენ შემთხვევით, რომ მოითხოვონ პატივისცემა საქართველოს ხალხის უფლებებისა და რომ დაუდონ საზღვარი ოკუპაციისა და დევნის რეჟიმს, შექმნილს საქართველოში საბჭოთა მთავრობისაგან. როგორ შეიძლება სხვაფრათ, სერიოზულ გარანტიების შექმნა ძალადობის წინააღმდეგ, თუ სიჩუმით ჩაატარებდნენ დამოუკიდებელ და ცნობილ რესპუბლიკის ბედს, რომელიც შეიქნა მსხვერპლი უხეში და ყველასაგან დაგმობილი ძალადობისა?

ამიტომ საქართველოს მთავრობას პატივი აქვს სთხოვოს კონფერენციას:

1) «შეუვალობის» შეთანხმების პროექტის მიღების შემდეგ, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აუცილებლობა იმ რეჟიმის მოსპობისა, რომელიც წარმოიშვა საქართველოს შელახვით 1921 წ.

2) საბჭოთა მთავრობის ცნობა და მათი დაშვება ზემოაღნიშნულ შეთანხმების ხელმოწერად უნდა დაკავშირებული იყოს საქართველოს საკითხის მოწესრიგებასთან და

3) იშუამდგომლოს, რომ საქართველოს უღლება მიეცეს შემდეგ შეუერთდეს აღნიშნულ შეთანხმებას.

მიიღეთ და სხვ. ჩხენკელი.



მიმართვა უანცვრისადმი ვ მაისს.

ჩხენკელმა მიმართა აგრეთვე შანცერს (იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი და გენუის კონფერენციის დროებითი თავმჯდომარე), რომელსაც დაწვრილებით აცნობებს ჩიჩერინის საპასუხო ნოტის სიყალბეს, ვითოს საქართველოში არავითარი აჯანყება არ ყოფილიყოს, რომ ქორდანია «კერძო პირია» და ნამდვილი მთავრობა საბჭოთა მთავრობა არის.

მოჰყავს სვანეთის და სხვა ამბები, აცნობს იმ წესს, თუ როგორ იცო არჩეული დამფუძნებელი კრება და შემდეგ მთავრობა, რომელსაც ყველა პარტიები და კლასები უჭერენ მხარს საქართველოს აღდგენაში, რაიც გამოიხატა სახელმწიფოებისა და კონფერენციებისადმი ცალკე მიმართვაში. მაშინ როდესაც საბჭოები უბრალო შედეგია ოკუპაციის ძალადობისა.

ყველა ზემოაღნიშნულის სინამდვილეს დადასტურებენ ის წარმომადგენლებიც სახელმწიფოებისა, რომელთაც თვითონ განიცადეს როგორც საქართველოს დემოკრატიული რეჟიმი, ისე მისი ბრძოლა ბოლშევიკებთან და ბოლშევიკების შემოსევა.

არც ერთი სახელმწიფო არასოდეს არ მოქცეულა ისე ვერაგულად, როგორც ბოლშევიკები მოქცევენ საქართველოს: 1920 წ. მაისში მოაწერეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის მე-11 მუხლი ამბობს «რუსეთი უარს ამბობს ყოველგვარ ჩარევაზე საქართველოს შინაურ საქმეებში» და 1921 წელს კი თავზე ესხმება მას და ძალით ახევეს საბჭოთა რეჟიმს.

ყველა ზემოაღნიშნულისა და წინად გადმოცემულ საბუთების ძალით, საქართველოს მთავრობა ითხოვს კონფერენციისაგან, თუ სურს აღადგინოს მშვიდობიანობა კავკასიასა და საქართველოში—შეეკითხონ ხალხს რომ მისი ნამდვილი სურვილი გამაშუარავდეს. ეს იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი კავკასიის დამშვიდებისათვის. და ყველამ უნდა იცოდეს თუ რა შედეგი მოსდევს ამას იმ მიზნისათვის, რომელსაც ისახავს კონფერენცია.

ჩხენკელი.

უანცვრის მიმართვა ჩიჩერინისადმი საქართველოს ზამო.

«ბატონო ვიცე-პრეზიდენტო! ოფიციალურ სხდომაზე 21 აპრილს, რომელშიც მონაწილეობდნენ დელეგატები ბელგიის, საფრანგეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, პოლონეთის და რუმინეთის, შვეიცარიის და შვეიციის დელეგატებმა გამოაცხადეს დეკლარაცია, რომლის ასლი მიღებული ჰქონდა დანარჩენებსაც და რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ქორდანია, შემდეგი შინაარსის:

«მე მივიღე დეკლარაცია, რომელიც მაცნობებს, რომ საბჭოთა მთავრობის ჯარები აწარმოებენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს პროვინციებში, სვანეთში, ლეჩხუმში და რაჭაში, ამავე დროს მე-9 არმია იგზავნება ქუთაისიდან იმ მხარეში, რომელმაც 1921 წლის მიწურულში გარეკა ბოლშევიკური მოხელეები და აღადგინა დემოკრატიული წესწყობილება. დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში სისხლი იღვრება. ქვეყნის სხვა ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავედება, მოსალოდნელია უსაშინელო სიკატასტროფა. ქართველი ხალხის სახელით გთხოვთ დასვათ კონფერენციაზე ეს საკითხი. კონფერენციას შეუძლია ბოლო მოუღოს სისხლის ღვრას, მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება და განახორციელოს საქართველოს შესახებ კანში შემოშავებულ პუნქტები და დადგენილებანი.

საქარ. ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე: ხელს აწერს: ნოე ქორდანია.»

მაქვს პატივი ზემო აღნიშნული ვაუწყლო თქვენს აღმატებულებას და ამასთანავე გთხოვთ გადასცეთ მოსკოვში ხსენებულ სხდომაზე დამსწრე სახელმწიფოთა დელეგატების სურვილი იმ იმედით, რომ მას მოსკოვი ანგარიშს გაუწევს და გააკეთებს რაც შესაძლებელია ზავის აღდგენისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უკვე ძლიერ დატანჯულია ბოლო ხნის ბრძოლებით.

ხელს აწერს: შანცერი.

ჩიხჩინის პასუხი.

«27 აპრილის თარიღის წერ ლში თქვენ ინებეთ გეცნობებიათ ჩემთვის იმ ანართა გაცვლა-გამოცვლის შინაარსი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შვეიცარიის და შვეციის დელეგატების თაოსნობით ოციციოზურ სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, პოლონეთის და რუმინიის დელეგატები, შესახებ კერძო პირის, ბ-ნ ჟორდანიას დეპეშისა, რომელიც თავის თავს საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს უწოდებს; ამ დეპეშის მიხედვით საბჭოთა ჯარები აწარმოებენ სამხედრო მოქმედებას აჯანყების დასაცხრობათ სვანეთის, ლეჩხუმის და რაჭის პროვინციებში, რომლებიც შეადგენენ ნაწილს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის. მე არ შევუდგები იმ კითხვის გარჩევას, თუ რამდენად კომპენტენტიური იყო იმგვარი სხდომა, რომელზედაც თქვენ იწერებით, განეხილა ზემო აღნიშნული მოსაზრება და სანიფორმაციოთ მოგახსენებთ, რომ ხსენებულ პროვინციებში არავითარ აჯანყებას არ ქონია და არც აქვს ადგილი და მაშასადამე არავითარი სამხედრო ოპერაცია არ სწარმოებს იქ ამ ქამად. ბ-ნ ჟორდანიას ინფორმაციის უმართლობას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ რუსეთში არ არსებობს მე-9 არმია, რომელზედაც ის ლაპარაკობს. თქვენ მოგახსენებთ, რომ ევროპაში იმყოფებიან მრავალი უმანდატო პირები, განსაკუთრებით წინანდელი მონარქები, ან წინანდელი მთავრობის წევრები, რომლებიც დამხობილ იქნენ უკანასკნელად მომხდარ ამბების დროს, და რომლებიც თავის დინასტიურ, ან თავის პარტიულ ინტერესებისათვის არ უშვებენ არც ერთ შემთხვევას, რომ ხელი შეუშალონ, რამდენადაც შეუძლიათ, ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებას. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი მანევრები ხელახლა იჩენენ თავს სწორედ იმ დროს, როცა სწარმოებენ საერთაშორისო კონფერენციები, რომლის მიზანია ერთა შორის შეთანხმების მიღწევა და მათ შორის არსებულ კონფლიქტების მოსპობა.

მე არ შემძლია არ გამოვთქვა ჩემი გაოცება იმის გამო, რომ მას შემდეგ რაც კონფერენციის მომწვევა სახელმწიფოებმა რუსეთის დელეგაციის წინადადების საპასუხოდ, რათა დაეშვათ გენუის კონფერენციაზე კავკასიის რეს-

პუბლიკების წარმომადგენლები, მოიგანეს ის მოსაზრება, თითქოს ეს რესპუბლიკები არ მდებარეობდეს ევროპაში, — ზემოაღნიშნულმა სახელმწიფოებმა შესაძლებლად მიიჩნიეს მიეღოთ და განეხილათ კერძო პირის წინადადება კავკასიის რესპუბლიკის — საქართველოს შესახებ, მაშინ როდესაც აქ არიან წარმომადგენლები ამ რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი, ე. ი. საბჭოთა მთავრობის.

ამისდამიუხედავთ, რუსეთის დელეგაცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თქვენ მიერ ზემოდ მოხსენებული სახელმწიფოების დელეგატები დაინტერესებული არიან გამონახონ საშვალეზანი სისხლისღვრის შესაჩერებლად არა ევროპაში, არამედ აგრეთვე იმ ქვეყნებში, რომლებიც კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა აზრით აზიის ნაწილს შეადგენენ; ამასთანავე რუსეთის დელეგაცია საჭიროდ სთვლის ურჩიოს დელეგატებს მიაქციონ უფრო სერიოზული ეურადლება არა მოგონილს, არამედ რეალურ სისხლისღვრას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს, ან შესაძლებელია დაუტრეხს მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში და მიაქციონ აგრეთვე ეურადლება ამ სისხლისღვრის გამომწვევ მიზეზებს.

რუსეთის დელეგაციას სურს მიუთითოს უწინარეს ყოვლისა იმ სამხედრო მოქმედებას, რომელიც გამოწვეულია იაპონიის მიერ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ნაწილის ოკუპაციით...»

შემდეგ ჩიხჩინი მიუთითებს პოლონელების მიერ ვილნოს დაქერას, აღმოსავლეთ გალიციის საკითხს, ბესარაბიას, ფრაკიას, სარის ბასეინის ფრანგების მიერ დაკავებას, ეგვიპტეს, ტუნისის და სხვ..

დასასრულ ნოტა ირწმუნება, რომ რუმინის და იუგოსლავიის მთავრობები უთანხმდებიან გენერალ ვრანგელს საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმის მოსამზადებლად.

დ ე კ ე შ ა.

გენუა, 18 მაისი. კონფერენციის სამანდატო კომისიამ გენუაში, ერთხმად უარყო მოსკოვის უფლება ილაპარაკოს საქართველოს სახელით.

ჩხენკელი.



ნოე ჟორდანიას აპკარაგებს ჩიხერინის სიყაღბეს.

პარიზელ «ტან»-ში (11 მაისის №-ში) ვკითხულობთ შემდეგს:

«ბ. ნოე ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ, გადმოგვცა ბ. ჩიხერინის მიერ საქართველოს საკითხზე გამოქვეყნებულ ნოტის საპასუხოთ შემდეგი განცხადება:

«ბ. ჩიხერინი ირწმუნება, რომ საქართველოში სრული სიმშვიდეა; ის უტიფრად უარყოფს იმ ომს, რომელსაც მისი მთავრობა აწარმოებს დღეს ჩვენი ქვეყნის მთიან მხარეების და განსაკუთრებით სვანეთის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ მინისტრის კეთილსინდისიერების დასაფასებლად საკმარისია განვიხილოთ რამოდენიმე ბოლშევიკური ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც ჩვენ ხელთ გვაქვს.

აი რამოდენიმე ამონაწერი კავკასიის განსაკუთრებულ არმიის ყოველ-დღიურ ოპერატიულ ბიულეტენიდან, რომელიც ამ არმიის გენერალურმა შტაბმა წარუდგინა მთავრობას და მთავარ მოხელეებს:

23 მარტი: 1 მსოფლიო ბრიგადა.—საექსპედიციო კორპუსის მხვერავებმა მიადწიეს 22 მარტს ლექსურაში, მტერი არსად შეხვედრიათ. აჯანყებულთა დღევანდელი ჩამოვიდა ცაგერში ზავის წინადადებით. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მთავრობის კომისია მიდის მასთან მოსალაპარაკებლათ.

24 მარტი.—მხვერავებმა ლექსურის მცხოვრებთა დაკითხვიდან გამოარკვეეს, რომ მტერი, რიცხვით 2,000 ხიშტი, დგას ჩოლურის რაიონში, საიდანაც ის ყოველდღე გზავნის ლექსურაში მხვერავებს. დღეს მე-5 პოლკის შეერთებული გუნდი, რიცხვით 200 ხიშტი, ლუისის ტყვისმურქვეველებითურთ გავიდა ქუთაისიდან საექსპედიციო კორპუსის გასაძლიერებლათ.

ბოლშევიკურ ბიულეტენის ცნობებს დაუმართო აჯანყებულ პროვინციების წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარების უფროსების პატაკები. მე მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმე ცნობას:

26 მარტი, ბოლშევიკურ ჯარების უფროსი ტელეგრაფით აცნობებდა გენერალურ შტაბს თფილისში:

ორი დღე რაც შეტევა შევაჩერე. ძლიერ ძნელია არსებულ პირობებში ომის გაგრძელება. ცუდი ამინდი არსებობს მდგომარეობას. სვანების პარლამენტორები გვიცხადებენ, რომ ისინი აწარმოებენ ეროვნულ-პოლიტი-

კურ ბრძოლას და დაინებით მოთხოვენ საქართველოს ოკუპაციის მოხსნას. წინადადებას გვაძლევენ გავცვალოთ ტყვეები, თითოეულ სვანში გვიპირდებიან სამი რუსის განთავისუფლებას.

31 მარტი ახალი ცნობა:

აჯანყებული სვანები თავს დაესხნენ მსოფლიოთა გუნდს, რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ ჩუკულში, ლაშხეთის მახლობლათ, ხელთ იგდეს ორი ტყვის-მურქვეველი, წაიყვანეს 41 ტყვე, მათ შორის გუნდის უფროსი. საშველად გაგზავნილ კომუნისტურ რაზმს მტერი ჩაესაფრა სოფელ ჩუკულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაზმი იძულებული გახდა დაეხია სოფელ ლუჯისაკენ, დასტოვა 16 დაჭრილი და მოკლული.

დაბოლოს, 15 აპრილს სვანეთის წინააღმდეგ დაგროვილმა რუსის ჯარებმა მიიღეს ბრძანება გადავიდნენ საერთო შეტევაზე, რომლის მიზანია «ზემო-სვანეთის დაპყრობა და სვანეთის მთავრობის დატყვევება, რომელსაც შეადგენენ —მე მოწყავს ბრძანების სიტყვები—2 თუ 3 მენშევიკი, 2 ეროვნულ-დემოკრატი და 1 ფედერალისტი.»

ეს ბრძანება შეიცავს სხვათა შორის განკარგულებებს რუსეთის ჯარების მიერ უკვე დაპყრობილ ქვემო სვანეთის მცხოვრებთათვის, რომელთაც ევალებათ გადაატარონ ჯერ კიდევ თოვლიან უდელტეხილზე მარხილების საშუალებით რუსის ჯარის-კაცები და მათი ამუნიციია.

განა ყველა ეს დოკუმენტები საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლათ რომ საქართველო დღეს ნამდვილ ომიანობის მდგომარეობაში იმყოფება? და თუ ჩიხერინი, რომელიც ძლიერ კარგათაა გაცნობილი ყველა ამ ფაქტებს, მაინც უარყოფს საომარ მოქმედების წარმოებას, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობას უნდა სისხლში ჩაახრჩოს ქართველი ხალხის მოძრაობა ისე, რომ ევროპამ ამის შესახებ არაფერი იცოდეს.

ზემო მოყვანილს მე დაგუმატებ, რომ მთელს საქართველოში მდგომარეობა დღითი დღე უფრო და უფრო მწვავედება, ბოლშევიკური ტერორი დღითი-დღე უფრო და უფრო ბარბაროსულ ხასიათსღებულობს. თფილისიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების მიხედვით პოლიტიკურ ტუსაღთა რიცხვი 10,000-დის აღწევს. ბევრი მათგანი მძევლებათ არიან გამოცხადებული, სხვებს ფარისევლურად სწამებენ ბანდიტობას ან ჯაშუშობას ანტანტის სასარგებლოთ. სოფლებში გაგზავნილია მრავალი საეკეკუ-



თავისუფალი საქართველო
გამომცემი

ციო რაზმები. გლეხების ოჯახებში დაბანაკებული რუსის ჯარის-კაცები იკვებებიან მცხოვრებთა ხარჯზე, რომლებიც უკვე სასტიკათ დააზარალა შიმშილმა, სძარცვავენ ქვეყანას და შეუძლებლათ ხდიან მიწის დამუშავებას.

საქართველოს ეროვნული მთავრობა თავის მოვალეობათ სთვლის დაქინებით მოითხოვოს, რომ განათლებული ქვეყნები ჩაერიონ სვანეთში და საქართველოს სხვა ნაწილებში სისხლის ღვრის შესაჩერებლათ.

მე ვაცნობე გენუის კონფერენციას, რომ ბ. ჩიჩერინის რწმუნებას აბათილებს უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ ხელთ გვაქვს. მე განვაახლე თხოვნა მიღებულ იქნას ზომები ზავის აღდგენისათვის და ველი ამ თხოვნის შედეგებს. უნდა ვიფიქროთ, რომ კონფერენცია, რომლის მიზანია ზავის აღდგენა, არ შეუწყობს ხელს, რომ საქართველოში ძალადობამ სძლიოს ხალხთა უფლებას. და ეს მით უმეტეს, რომ უცხო ჯარების ევაკუაცია წარმოადგენს საქართველოში ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის წინასწარ პირობას, ურამლისოდაც არამც თუ ამ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავება არ იქნება შესაძლებელი, არამედ ძლიერ შეფერხდება ბაქოდან შავი ზღვისაკენ ნავთის გამოტანის საქმეც.»

ნოე ჟორდანიას ეს განცხადება მოთავსებულია ამ სახით ყველა ფრანგულ გაზეთებში და აგრეთვე ეცხოეთის ყველა გაზეთებში რადიოდეპეშით იქნა გადაცემული:

გ ე ნ უ ა შ ი.

(კონფერენციის გამო)

II.

მემორანდუმის წარდგენამ რუსეთისადმი დაარღვია ერთსულოვნება ევროპის სახელმწიფოების. მაგრამ მანვე დაარღვია შეთანხმების შესაძლებლობა საბჭოთა რუსეთთან, რომლის იმედით იქნა მოწვეული გენუაში ევროპის ერთა ყრილობა. ამ მემორანდუმით აღმოჩნდა, რომ კომუნისტების გადაზრის და დათმობის ამპლიტუდა (რყვეის ხაზი) მაინც ვერ აღწევს იქამდე, რომ ბურჟუაზიული ევროპა დააკმაყოფილოს. პრინციპი საკუთრების და პრინციპი კოლექტივიზმის—ეს ორი შეურიგებელი ანტიტენა ამათ ცდილობდა შუათანა ხაზზე შეჩერებას.

შეურიგებელის შერიგება ვერ შესძლო თვით კომპრომისის გენიოსმა ლოდ ჯორჯ-მაც და წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთსა და ევროპის შორის დარჩა შეურყვევლი.

ერთი შეხედვით ესაა წმინდა რევოლიუციური დაპირისპირება სოციალისტური იდეის კაპიტალისტურთან, რევოლიუციის მიერ წამოცენებულ კოლექტივიზმის—კერძო ინიციატივასთან, და რუსეთის წარმომადგენლები—ამ რევოლიუციონერობის გამომხატველათ გამოდიან.

მაგრამ ნამდვილათ საქმე სულ სხვა გვარათ იყო დასმული გენუაში. საბჭოთა კომისრებს კომუნ. პრინციპებიდან და კოლექტიურ საკუთრების იდეიდან დათმობა ისე არ ეძნელებათ, როგორც დათმობა სესხის მიუღებლობის. და აი სწორეთ ეს უკანასკნელი გარემოება უნდა ჩაითვალოს კონფერენციის უნაყოფობის მთავარ მიზეზათ. მართლაც და ბოლშევიკებს შეუძლია პრინციპი დათმონ, რამდენიც გინდათ უკან დაიხიონ, მაგრამ ფული, ეს წყეული ლითონი და არა ქალღმადის ფარატინები უნდათ მიიღონ. უამისოთ დათმობა—უაზროა, უმიზნოა, ტყვილა თავის გაბახებაა. და აი მოსკოვმაც შინჯა დათმობა—თუ ფულს მას მისცემენ ხელში ზოლო პრინციპების სიმალღეზე დგომა, თუ ოქროს არ ჩაუჩხრიალებენ. ფულზე კი, როგორც დაბეჯითებით, კულისებში საფუძვლიანათ ამბობდენ, ვერ შერიგდენ. მოგებსენებათ ევროპა ფულის გაცემაში ძუნწია: გასცემს, თუ დიდ სარგებლობას მოელის. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქვეყანაც რომ დაიქცეს, ოქროს ყუთს თავს არ ახდის. ზოლო რუსეთის მთავრობამ აბა რით უნდა უწოდოს? ამიტომ ევაპურენ ჩიჩერინს, როგორც მეწვრიმალენი—იტ. საგ. მინ. შანცერის პირით შეაძლიეს 200 მილიონ მანეთამდე სესხათ მთავრობას, ესე იგი ერთი წვეთი, მას კი სუირდება სულ ცოტა მილიარდი დოლარი. ე. ი. 2 მილიარდი მანეთი. ნაკლებათ ის კომუნისმის ყველა პრინციპებს არ ყიდის. ევროპის კაპიტალისტებს ასეთი ფასი დიდათ მოეწვენათ და კომუნისმში უფრო იაფ საქონლათ ჩასთვალეს. ამიტომ «სდელკა» არ შესდგა.

და შეიქნა დეკლარაციების წამოცენება: ლოდ ჯორჯმა განაცხადა—«სესხი რუსეთის კომისრებს არც ერთი კაპეიკი»:—«სესხის კანონები და წესები სულ სხვაა» დასძინა ფაქტამ იტალიის სახელით ამ უშედეგო «ტორგის» შედეგათ.



ცხადი იყო ბოლშევიკებისგანაც უნდა პრინციპიალური პასუხი მიეღოთ. რას აგებდნენ ჩიჩერინი და კომპანია? რაკი დათმობამ აზრი დაკარგა, ისინი ქადაგებას და ავტორიტარობას დაუბრუნდნენ. 20 გვერდიანი პასუხი, დართე პოლემიკა—კომუნისტური პრინციპების სქემა, ვალის, საკუთრების და სხვა საკითხებში დათმობათა უკან წაღება, და ასე მათი კომუნისმის დროებით დასაპაჩინკებელ ზომებთან გამოცენა, აი შინ არსი პასუხის. ცურით იქნა მოთრეული საფრანგეთის დიდი რევოლუცია იმის დასამტკიცებლათ, რომ ძველი ვალები რევოლუციურმა მთავრობამ არ უნდა იხადოს; ჩვენ მხოლოდ წვრილ მესაკუთრების გულისთვის ვთმობთ ამ საკითხში, რადგან რუსის ვალის ქალაღდები მათ აქვთ შესყიდულიო; კერძო საკუთრებას ვერ აღვადგენთ—ძველ მესაკუთრეთ მხოლოდ იჯარით მივცემთ ვადით თავის ძველ წარმოებას და ამით ზარალს აუუნაზღაურებთო.—ამბობდნენ ბოლშევიკები ნოტაში. ყოველ შემთხვევაში ნოტა მოითხოვდა სესხის—მილიარდ დოლარის—ამავე მოსკოვის კომისრებისთვის ხელში მიცემას, ხოლო ძველ მესაკუთრეთა საკითხის ახალ კომისიაში გადაცემას შესასწავლათ და დასამუშავებლათ.

ყოველი ღონე იხმარეს ამ სასტიკი და შეუჩივრებელი პასუხის გასარბილებლათ. კონფერენციის თავმჯდომარემ იგი უკან დაუბრუნა წაკითხვის შემდეგ და შესწორება უჩიჩა.

ერთი სიტყვით დიდათ შეეცადნენ ჩიჩერინის და კომპ. უფულოთ მოშინაურობას, მაგრამ უფულოთ ეს არ მოხერხდა. და პასუხი ისევ ისეთი დარჩა.

აქედან იწყება მუშაობა ჩიხში მისული საქმის გარეგნულათ გამოსაბრუნებლათ.

საფრანგეთი სულ განზე გადგა და ბოლშევიკებთან ერთხელ და სამუდამოთ ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტა მოითხოვა ბარტუს პირით. ლოიდ ჯორჯმა მიიწვია ლაპარაკის განგრძობა აუცილებლათ ჩასთვალა, იტალიაც მას აყვა და რამდენიმე დღე კიდევ იმსჯელებს და იდავეს ამ ნოტებზე. ფაქტიურათ კი ეს დღეები საჭირო იყო თავაზიანი გამოსავალის საპოვნელათ. და ეს გამოსავალი მონახულ იქნა—ახალ კონფერენციაში: ლოიდ ჯორჯმა წამოაყენა ისევ იდეა ექსპერტთა კონფერენციის პაავაში, რომელიც გამოარკვევს გენუის დაუთავებელ

სადაო საკითხებს, ვალის, საკუთრების და სხვა სეთის აღდგენისას.

ბოლოს და ბოლოს პირის მოსაწმენდათ შეჩერდნენ ამ დადგენილებაზე. მიღებულ იქნა: გენუაში მყოფი სახელმწიფოები, გარდა რუსეთისა და გერმანიისა—შეიკრიბებიან პაავაში, დანიშნავენ სპეციალურ კომისიას ზემო აღნიშნულ სადაო კითხვების შესასწავლათ. რუსეთი თავის მხრივ შექმნის კომისიას ამავე საგანზე, რომელიც მოელაპარაკება ევროპიელთა კომისიას. მოწვევის ბარათი ეგზავნება შეერთებულ შტატებსაც, თუმცა ის გენუას არ დასწრებია.

კომისიის მოწვევამდე მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოს არ მიაჩნია შესაძლებლათ ახალ კონფერენციაზე დასწრება. და რომელიმე მათგანის უარი არ შეაჩერებს დანარჩენების თავის მოყრას.


ახალი კონფერენცია იკრიბება იენისში. 26 იენისს უნდა მოხდეს უკვე რუსულ და ევროპიელ კომისიების შეხვედრა.

თუ ამ დროიდან სამი თვის განმავლობაში საერთო შეთანხმება არ იქნა მიღწეული, და ერთი თვის განმავლობაში ამის შემდეგ მთავრობების მიერ მოწონებული, თვითეული სახელმწიფო სეპარატიულათ შეუდგება თავის დამოკიდებულების გარკვევას რუსეთთან.

ამ ხნის განმავლობაში კი არავითარ კერძო შეთანხმებას ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის ადგილი არ უნდა ექნეს.

კომისიის მუშაობის ნორმალურათ წარმოების გულისათვის, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ თავის თავზე ამ ხნის განმავლობაში ყოველ გვარ აგრესიულ ნაბიჯზე და პროპაგანდაზე მეზობლების წინააღმდეგ ხელი აიღონ. საზღვრებთან რჩება თვითეულ სახელმწიფოსთვის ის, რაც მას დღეს უჭირავს.

ამ უკანასკნელ წინადადების გამო ყველა სახელმწიფომ წამოაყენა თავის მტკივანი საკითხების გადაჭრა. ჩიჩერინმაც თავის მხრივ მოითხოვა, რომ თავდასხმიდან თავდაჭერის პაქტი გავრცელებულიყო ყველა მსაბუქოთა რესპუბლიკაზე რუსეთსა და კავკასიაში. მანვე წამოაყენა საკითხი კონფერენციისათვის პაავის მაგიერ სხვა ქალაქის დანიშვნისა. ლოიდ ჯორჯის მხარის დაჭერის და იპაონის წინააღმდეგობის შემდეგ მიღებულ იქნა ფორმულა, არა



საბჭოთა რესპუსლიკების შესახებ, არამედ ასე: «პაკტი ეხება რუსეთს და მის მოკავშირე სახელმწიფოებს». სხვა შესწორებები კი არ შეუტანიათ მიღებულ დადგენილებებში. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთს განსაკუთრებულ პრინციპიალურათ განსხვავებული სისტემა აქვს სახელმწიფო ურთიერთობის და თვითუღმა სახელმწიფომ თვით უნდა გამოარკვიოს თავის დამოკიდებულება მათთან. საფრანგეთი და ბელგია ამ სხდომას, არ დასწრებიან, რადგან საბჭოთა მემორანდუმის განხილვაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

პაგის თათბირისადმიც საფრანგეთს დღეს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ამერიკამაც, რომელსაც მოწვევის ბარათი გაუგზავნეს,

ახლაც უარი განაცხადა ევროპის საქმეებში სახით ჩარევებზე.

ბოლოს 20 მაისს წარმოიტყვა საპარადო სიტყვები, რომელთაგან აღსანიშნავია გერმანიის სახელით რატენაუს განცხადება, რომ ევროპის აღდგენა მხოლოდ ომის ვალებისა და რეპარაციის ხარჯების შემცირებით შეიძლება და ლოიდ ჯორჯის სიტყვა, რომელშიც მან დაწვრილებით აღწერა გათავებული კონფერენციის ღირსებანი და მიღწევანი, რომელმაც საფუძველი ჩაუდარა ევროპის მშვიდობიან განვითარებას, ხოლო შენობის აგება მომავალს უანდერძა.

ასე დასრულდა უწვევგოთ გენუისკონფერენცია.

საქართველო და ევროპა.

ნავთის საკითხი, ამერიკა, საფრანგეთი და საქართველო.
ევროპის გაზეთებიდან

მკითხველს ეცოდინება, რომ გენუის კონფერენციაზე უდიდესი როლი ითამაშა კავკასიის ნავთის საკითხმა. კონფერენციის უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მთავარი კომბინაციები და მთავარი დავა ფაქტიურათ ნავთის საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. ამ გარემოებაში ძლიერ გააცხადებდა კავკასიის და კერძოდ საქართველოს საკითხი. უკანასკნელი გადაცხლართა უდიდეს საერთაშორისო საკითხებს და მომავალშიაც ამ საკითხების გადაჭრის ცდის დროს შეუძლებელი იქნება საქართველოს ბედის გვერდის ავლა. ცნობილია, რომ ამერიკა ცხოველ ინტერესს იჩენს ნავთის საკითხში, სადაც არ უნდა წამოიჭრას ის. როცა გამოირკვა, რომ გენუაში პოლიტიკური კომბინაციების მთავარი მამოძრავებელი ძალა ნავთი იყო, რომ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა კავკასიის ნავთის წყაროების ინგლისის მიერ სამონაპოლიტო ხელში ჩაგდებას სურვილით იყო ნაკარნახევი, ამერიკა შეშფოთდა: მან ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის მისწრაფებას, განაცხადა, რომ არ დაუშვებს კავკასიის ნავთის ვინმეს სამონაპოლიტოდ გახდას და მოითხოვა «ღია კარების» პრინციპის გატარება კავკასიისათვის. შეერთებულ შტატების საელჩო

იტალიაში თავის ოფიციალურ განცხადებაში იუწყება სხვათა შორის შემდეგს:

«შეერთებული შტატები არასოდეს დასთანხმდებიან, რომ ცხოვრებაში გატარებულ იქნას რომელიმე პროექტი (ნავთის შესახებ), ეროვნულ ან საერთაშორისო დარგლებში, ისე რომ არ იქნას დაცული ღია კარების პრინციპი, რომელიც ყველას თანასწორ უფლებებს მიაკუთვნებს». («ტან» 11 მაისი).

ასეთია შეერთებული შტატების მთავრობის დამოკიდებულება კავკასიის ნავთისადმი. ამას უნდა დაუმატოთ ამავე მთავრობის ოფიციალური განცხადება გენუის კონფერენციის მიწურულში (10 მაისს), რომ მისი მტრული პოზიცია რუსეთის «სოცეტებისადმი» ოდნავადაც არ შეცვლილა.

ნავთის საკითხის წამოჭრამ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ბედში დაინტერესა ამერიკის არა მარტო მთავრობა, არამედ ფართო საზოგადოებრივი წრეებიც. ამას მოწმობს ამერიკის უძლიერესი მუშათა ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის, ცნობილი გომპერსის რადიო-დეკლამაცია სადაც ამბობს: ამიერიდან გამოჩვეულია საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე საერთაშორისო პოლიტიკაში. რუსეთის საბჭოელები შეუთანხმდნენ საერთაშორისო კაპიტალისტებს. საქართველოს ერთად ერთი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მას მოეპოვება ნავთის წყაროები და მის ტერიტორიაზე ძვეს ნა-

ვთის მილის დიდი ნაწილი. რუსეთის ბოლშევიკები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკას და იმსხვერპლეს იგი საერთაშორისო კაპიტალთან წინასწარ შეთანხმებით, რათა შეძლება ქონდათ გადაეცათ უკანასკნელთათვის 2 მილიარდ დოლარათ ღირებული ნავთის კონცესიები.

ასე გარკვეულად სდგას დღეს კავკასიის და საქართველოს საკითხი ამერიკის დემოკრატიის თვალში.

მართალია, იმ ფორმალური მოსაზრებით, რომელიც კანში იქნა მიღებული—თითქო საქართველო აწიაში მდებარეობდეს—საქართველოს დემოკრატიული მთავრობა არ იქნა მიწვეული გენუაში, მაგრამ გენუის კონფერენციამ ძლიერ წასწია წინ ჩვენი საკითხი, განამტკიცა დემოკრატიულ საქართველოს საერთაშორისო პოზიციები, ერთი იმით რომ უარყო რუსეთის და მის მიერ დაყენებულ საოკუპაციო «მთავრობის» უფლება საქართველოს წარმომადგენლობისა, და ერთად ერთი კანონიერ წარმომადგენელათ უარდანას «ეროვნული მთავრობა» აღიარა; მეორე იმით, რომ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, შეერთებული შტატების, პოზიცია ჩვენს საკითხში ძლიერ გადახარა და დაუახლოვა საფრანგეთის პოზიციას, ამით კიდევ უფრო განამტკიცდა საფრანგეთის შეხედულება კავკასია-საქართველოზე.

«ტანის» ის კორესპოდენტი, რომელმაც პირველად გამომამყვანა ინგლის-რუსეთის სანაეთო მახინაციები, იუწყებოდა გენუიდან, რომ ეხლა განსაკუთრებით უდავო გახდა, რომ რუსეთისადღგენის ყოველივე ცდა ფუჭი იქნება, სანამ «კავკასიას არ მიენიჭება ის არსებითი როლი, რომელიც მას ეკუთვნის რუსეთის ინდუსტრიის თანდათანობითი აღორძინებაში.» კორესპოდენტს სახეში აქვს საფრანგეთის და აგრეთვე ინგლისის ზოგიერთი სამრეწველო წრეების გეგმა, რომლის თანახმად რუსეთის აღდგენა შეუძლებელია ცენტრიდან, ბოლშევიკურ მთავრობის საშუალებით; რომ ევროპამ განაპირა დამოუკიდებელ სახელმწიფოებიდან უნდა დაიწყოს მუშაობა და შემდეგ თანდათანობით გადავიდეს შიდა რუსეთში.

ძლიერ დამახანსიათებელია აგრეთვე, რომ საფრანგეთის ოფიციალურმა, რომელსაც მებრძოლი პოზიცია უჭირავს ინგლისის პრემიერის წინა-

აღმდეგ, პირისპირ დაუსვა უკანასკნელს საკითხი საქართველოს შესახებ და რომ თავისი შეხედულებისათვის მეტი წონა მიეცა, ამერიკის საზოგადოებრივი აზრი დაიმოწმა. 10 მაისის №-ში მოწინავე («ანტანტა გრძელდება») «ტანი» შემდეგი აზრით ათავებს:

«როგორც სჩანს, ინგლისის დელეგაციაში უნდა ფიქრობდნენ, რომ გენუაში საქართველოს კანონიერად წარმომადგენს ერთი ბოლშევიკი, რომელიც თავისთავს ქართველს უწოდებს და რომელიც «საპქოების» დელეგაციაში შედის. ალბათ ამ მოსაზრებით, ბრიტანეთის დალეგაციას შესაძლებლათ უნდა მიაჩნდეს რუსეთის ნავთის საკითხის გადაჭრა საქართველოს ძველი, იურიდიულათ ცნობილი მთავრობის და ქართველი ხალხის დაუკიხავათ, რომელზედაც დღეს ბოლშევიკები გაბატონებულან. ჩვენ არა ვართ გაცნობილი ცველა იმას, რაც ამ საქმის უკან ხდება, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბრიტანიის დელეგაციის აზრი არ ეთანხმება საესებით არც იმ პრინციპებს, რომლებიც დღემდე იყო აღიარებული და არც შეერთებულ შტატებში გამეფებულ შეხედულებას. რამოდენინეთ ამ საკითხისათვის შეუქის მოდენა ზედმეტი არ იქნებოდა.»

ამნაირათ გენუაში ხელახლა დადასტურებულ იქნა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც დამოუკიდებელ ქვეყნის, და მისი საკითხი გადაება ცენტრალურ საერთაშორისო საკითხებს, რომლის გარშემო ტრიალებენ დღეს არსებითი ინტერესები როგორც ევროპის, ისე ამერიკის; ამით საქართველოს პრობლემის აქტუალობა დიდათ გაიზარდა.


3.

ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი ჩიხერინს.

გაზ. «პეკლში» მოთავსებულია მსცოვან ქართველ ზევოლიუტიონერის ვარლამ ჩერქეზიშვილის ღია წერილი, რომლითაც მან მიმართა გენუაში მყოფ მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარს ბ-ნ ჩიხერინს. მოგვყავს იგი სრულათ:

მოწყალეო ხელმწიფე!

საბჭოთა მთავრობას, არა ერთხელ განუცხადებია, თქვენის პირით, რომ რუსეთის ეკონომიური კრიზისი, განსაკუთრებით, გამოწვეულია



უცხოელ ჯარების ინტერვენციით რუსეთის საბჭოების საშინაო ცხოვრებაში. თავისთავათ ცხადია, რომ უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენცია რომელიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაში არის შეღავა საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპებისა.

განათლებულ კაცობრიობას და, განსაკუთრებით დემოკრატიას არა ერთხელ დაუგმია ყოველი ცდა ერის წმინდა უფლების გათელვისა, თავისი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მოწყობისათვის. მეცხრამეტე საუკუნის ისტორიამ სასტიკათ გაჰკიცხა რუსეთის დესპოტის ნიკოლოზ პირველის მოქმედება, რომელმაც ავსტრიის იმპერატორის მოწოდებით რუსის ჯარი შეასია რევოლიუციონურ ჰუნგრეთს კოშუტის დროს 1849 წელში.

მე ვიმეორებ, რომ თქვენ მართალი ხართ, როდესაც პროტესტს აცხადებთ უცხოელთა ინტერვენციის გამო მთელი მისი გამანადგურებელი შედეგების.

მაგრამ ამავე დროს, რისთვის გაიქორა თქვენმა მთავრობამ, ტროცკის ინიციატივით, იგივე ბოროტ-მოქმედება საქართველოს მიმართ?

რისთვის შეასია ომის გამოუცხადებლათ თქვენმა მთავრობამ მეფის ყოფილი გენერლის გეკერის სარდლობით ასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი პატარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის დამოუკიდებლობა ოფიციალურათ იყო ცნობილი არა მარტო ევროპის სახელმწიფოთაგან, არამედ თვით რუსეთის მიერ?

რისთვის შეესია ეს ჯარი საქართველოს როგორც დაპყრობილ ქვეყანას და მეთოდურათ ანადგურებს მის სიმდიდრეთ ორთქლმავლებსაგან და ტრამვის ვაგონთაგან დაწყებული, უკანასკნელ ქინძის თავამდე?

რისთვის იქნა ეს ნადავლი გაგზავნილი რუსეთში ასეთი ცინიკური წარწერით: «წითელ რუსეთს, საჩუქრათ წითელ საქართველოსაგან?»

რისთვის შემოიღო დაუცონებლივ ამ ჯარმა «ჩეკა»—ეს შედეგრი საბჭოთა რეჟიმისა და მისი საშუალებით მოსპო სიტყვის, პრესის, კრების და ყველა სხვა თავისუფლებანი, რომელნიც ევროპის დემოკრატიამ მხოლოდ საუკუნეთა ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა?

რისთვის შემოათრიეთ ჩვენში ამ ჯართან ერთათ, როგორც თქვენი კომისრები რეაქციონერები, როგორც ბრეხნიჩევი, პოტაპოვი, ვერევი და სხვანი, რომელნიც მეფის დროს, «შავრაზმელთა» თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო ეხლა სისტემატიურათ ანადგურებენ საქართველოს ეროვნულ და დემოკრატიულ დაწესებულებებს.

როდესაც თქვენი ჯარი საქართველოში შემოვიდა, რუსეთმა განაცხადა, რომ, როგორც კი საბჭოებს აირქევენ, იგი დაუღონებლივ უკანვე იქნება გაწვეული. რუსეთის ჯარები არამც თუ არ წავიდნენ, 14 თვის ოკუპაციის შემდეგ, ისინი კიდევ უფრო მედგრათ ავიწროებენ საქართველოს ხალხს. საქართველო განიცდის უმძიმეს პერიოდს პოლიტიკური შევიწროებისა და ეკონომიური განადგურების, რომლის მსგავსი მონგოლთა შემოსევის დროსაც არ განუცდია.

და კიდევ ერთხელ გეკითხებით! რისთვის? მისთვის რომ—განაცხადა მოსკოვმა—რუსები მიწვეულ იქმნენ თვით საქართველოს მიერ!

ეს არის აშკარა სიცრუე და მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ. მე ვიყავი ამ დროს საქართველოში და როგორც რევოლიუციონერი, რომელიც 50 წლის განმავლობაში რუსეთისა და იმპერიალიზმისაგან ტანჯულ ერთა თავისუფლებისათვის იბრძოდა, გარწმუნებთ რომ ქართველ ხალხისაგან მე არ მსმენია სურვილი უცხო ჯარის მოწვევისა, მთავრობის დამხობის და ახალი წყობილების დამყარებისა რუსეთის ხიშტების საშუალებით. არც საქართველოს პარლამენტს და არც ერთ მუშათა, ან გლეხთა ორგანიზაციას არასოდეს არ მოუწვევია მოსკოვის ჯარები. შეიძლება მოსძებნოთ მხოლოდ ექვსიოდე, თქვენს სამსახურში მცოფი, ქართველი ვიგინდარა, რომელნიც პირადი ინტერესის გამო, მზათ ცოფილიყვენ საკუთარი სამშობლო გაეწირათ და თქვენ და თქვენი ჯარი საქართველოში მოეწვიეთ.

მაგრამ თვით ქართველი ხალხი მთელი ერთი თვის განმავლობაში გმირულათ იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ და უკვე დაპყრობილი, განაგრძობს წინააღმდეგობას მანიფესტაციის, ვაფიცვების და აჯანჯებების გზით.

ამის საპასუხოთ, თქვენ ათასობით ქართველნი ჩაყარეთ ციხეებში, დაანგრეთ მუშათა ორ-



განიზაციები და რეკვიზიციების საშუალებით ისე გაანადგურეთ გლეხობა რომ, ამერიკელთა დამხმარე საზოგადოებების ოფიციალური რწმუნებით, საქართველო უკვე შიმშილს განიცდის.

თქვენი მსხვერპლნი გახდენ, უმთავრესათ, თქვენისთანავე სოციალისტები და მარქსისტები, მაგრამ რომელთაც უყვართ თავისუფლება ეროვნებისა და პიროვნების; ეს ხალხი თქვენ ჩაღრმობით ბინძურ და აუტანელ სარდაფებში, სადაც სიცოცხლეს გამოესალმა მრავალი პიონერი რუსეთი რევოლუციისა.

თქვენ მოსკეთ ქართველი ხალხის დედა-ენის ხმარება და დაწესებულებები აავსეთ რუსებით და სხვა ეროვნებათა ნაძირალებით; შეიძლება, თამამად ითქვას, რომ საქართველო ისრისება დღეს უცხოელთა მილიტარისტული ბიუროკრატის ქვეშ.

და ამას უწოდებთ თქვენ «მეგობრულ მოპატივებას?»

ეს ბარბაროსული შემოსევა საქართველოში, მისი ეკონომიური განადგურებით, პოლიტიკური შევიწროებით და კომუნისტური წყობილების იძულებითი დამყარებით, შავ და საშინელ ფურცლათ დარჩება ბოლშევიკების ისტორიის ანალებში—ეს არის თქვენი გარდამწყვეტი ნაბიჯი მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის გზაზე.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა თქვენ უნდა იცოდეთ, რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა რუსეთის პროვინცია—ეს იყო სახელმწიფო დაკავშირებული მასთან ხელშეკრულებით, როგორც ნორვეგია შვეციასთან, ან ჰუნგრეთი ავსტრიასთან.

ჯერ კიდევ არის დრო გადავარჩინოთ და დავიცვათ ცოტა რამ მაინც რუსეთის რევოლუციის იდეალებისაგან, რასაც შეეწირენ საუკეთესო რუსნი და ქართველნი: რასაც თქვენ ეძებთ გენუაში რუსეთისათვის, ნუ წაართმევთ სხვა ერებს: გაიცვანეთ თქვენი ჯარები საქართველოდან და აღუდგინეთ ქართველ ხალხს უფლება იცხოვროს და იმუშაოს თავისუფლებისა და მშვიდობიანობის პირობაში.

გერმანიის დამოუკიდებელი სოც. დემ. პარტია და საქართველო.

9 მაისის «ფრაიჰაიტი» (გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიის ცენტრ. ორგანო) იუწყება, რომ «დამოუკიდებლების» პარტიის თავმჯდომარემ კრისპინმა მიიღო ნოე ჟორდანიასგან წერილი, რომელშიც უკანასკნელი სთხოვს პარტიას მიიღოს ზომები რათა: 1) შეწყვეტილი იქნას საქართველოს მიერ პროვინციებში სამართი მოქმედება, 2) მოხსნილი იქნას ქართველი ხალხის მჩაგრავი ეკსეკუციები, 3) განთავისუფლებულ იქნას დაუცონებლივ პოლიტიკური ტუსალები. შემდეგ გამოთქმულია სურვილი, რომ დაუყონებლივ შესდგეს შერეული კომისია სოციალისტების და კომუნისტებისაგან საქართველოს საკითხის გასარჩევთ.—ამხანაგმა კრისპინმა ამ წერილის კოპია გაუგზავნა რუსეთის მთავრობას და კომუნისტურ ინტერაქციონალის ეკსეკუტივს (ალმ. კომიტეტს). და ამცნო მათ, რომ წერილის კოპიის გადასცემს აგრეთვე ცხრათა კომისიას მან დასძინა, რომ არ აქვს შეძლება წერილში მოცვანილი ფაქტ-შემოწმოს, მაგრამ იმედი აქვს, რომ მთავრობა და კომუნისტური პარტია შეაჩერებენ ტერორისტულ ზომებს და შურისძიების აქტებს სოციალისტების წინააღმდეგ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გაერთიანებულ ფრონტის შექმნის ყოველივე ცდა ფუჭად ჩაივლიდა.

მ ი მ ა რ თ ვ ა

რუს. კომპარტ. „მუშათა ოპოზიციისა“ მსოფლიო პროლეტარიატისადმი. *)

შეიძლება ბევრისთვის ეგროპაში არ იცოს სავსებით ნათელი, თუ რისთვის მიემართეთ კომინტერნის პლენარულ სხდომას ცხარე პრო-

*) რუს. კომ. პარტიის გამოცემა მუშათა ჯგუფი, რომელიც საქაო დიდი გავლენით სარგებლობს კომუნისტურ მუშათა წრეებში, განსაკუთრებით ლითონზე მომუშავეებსა და სამხედრო ქარხნებში, ეს ჯგუფი თხოვლობს კომუნისტების პირწმინდათ გატარებას ეკონომიურ ცხოვრებაში, და თავისუფლებას სიტყვასა და წერისას პოლიტიკაში. მათ ამის ნებას არ აძლევენ, რასაკვირვებელია და ამან გამოიწვია პროტესტის წარდგენა კომინტერნისთვის. და ეს მიმართავს. ნაწილი ოპოზიციის უკვე განდევნეს პარდიდან. დანარჩენების გაქვეებას ერიდებიან ადელეების გამო.



ტესტით, სწორედ ავტორები და ამიტომ საკი-
როთ სცნობენ აცნობენ ამხანაგებს საქმის ვი-
თარება. მოგვყავს ეს მიმართვა შემოკლებით:

4 წელიწადი იბრძოდა რუსეთის მუშათა კლასი «შრომის სამეფოს» განსახორციელებლათ და რომ ევროპიელი მუშები მხარში ამოდგომოდნ ამ ავანგარდს, დღეს კომუნისში მთელ მსოფლიოში გამარჯვებული იქნებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა და ისტორია გამოარკვევს, თუ ვინ იყო მთლიანი ფრონტის დამრღვევი და ვის ედება ბრალათ ამ ავანგარდის დაღუპვა, რომელიც გაწყდა რევოლიუციურ ბრძოლაში. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ბრალი ედება ხელმძღვანელებს, რომელთაც მოატყუეს მუშათა კლასი: ჩვენ ვაყენებთ ორგვარ ბრალდებას:

«პირველი, ძირითადი შეცდომა ან უცოდინარობა ხელმძღვანელ ცენტრების, მეორე შეგნებული მოტყუება ან მოღალატეობა მუშათა კლასის ინტერესების.»

რევოლიუციის დასაწყისში რუსეთის პროლეტარიატი გატაცებული იყო ერთსულოვნათ მომავლის ბრწყინვალე იდეალებით და ეს გატაცება მოწინააღმდეგე კლასებსაც გადაადო. მთელი ერთსულოვნათ ფიქრობდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების აგებას ურთიერთის დათმობით და სხვადასხვა კლასებ შორის გონიერი კომპრომისის დამკარებით. მაგრამ მალე ეს ერთსულოვნება დაირღვა და მისი ადგილი სიძულვილმა დაიკირა. დადგა საშინელი სისხლიანი ეპოპეა, როცა ადამიანის სულის ყველა ბნელი თვისებები თავშეუთქავებლათ მოქმედებენ და ნიაღვარივით სდიოდა სისხლი მართლის და მრუდის განურჩევლათ.

სამოქალაქო ომს ავტორები ხსნიან მეთაურების გაუგებრობით რომელთაც არ მოისურვეს მოლაპარაკება და დავის მუშათა სისხლით გადაჭრა ამჯობინეს. გენერლების თეთრმა მეთაურებმა მიიღეს კიდევ სამაგიერო. მაგრამ რევოლიუციის ხელმძღვანელთა დანაშაული მათი აზრით კიდევ უფრო მეტია, რადგან შეეძლოთ და არ შეაჩერეს ძმათა სისხლის ღვრა. პირიქით ისინი თავის ქვენა გრძნობებს დაემორჩილენ, სისხლის ღვრა გააძლიერეს, ხოლო ის საქმე კი, რომელიც უნდა გაეკეთებიათ, დაღუპვამდე მიიყვანეს.

ეს იყო შეცდომა ან უცოდინარობა იმ მეთაურების, რომელნიც გარემოებამ გახადა რევო-

ლიუციის ხელმძღვანელებათ და არა მათმა პირადმა მორალურ და გონებრივმა უპირატესობამ. მაგრამ მაინც «შეიძლება გავამართლოთ, როცა რევოლიუცია ქმნის რკინის მუშტს თავდასაცვლათ და თავდასახშმელათ, შეიძლება გავამართლოთ, როცა ეს რკინის მუშტი შეუბრალებლათ თავს ატყდება რევოლიუციის აშკარა და ფარულ მტრებს. მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ რევოლიუციურ ლოზუნგების დასაცავათ და მხოლოდ ამისთვის. ხოლო თუ ეს რკინის მუშტი თავს ატყდება და სპობს მუშათა თავისუფალ აზრს, თუ ის ნაცრათ აქცევს რეაქციასთან ერთათ რევოლიუციურ ინდივიდუალიზმის საუკეთესო ფორმებსაც, მაშინ იბადება სკითხვი, რისთვის ან ვისთვის ჩაკრეს ეს ფოლადის მუშტი თავში საბჭოთა რუსეთის მუშებს და გლეხებს, ვის ესაჭიროებოდა რუსეთის თავისუფალ მუშების და გლეხებისთვის ხელ-ფეხის შეკვრა და პირის ახვევა? ვის—რევოლიუციას თუ მთავრობას? ან სად არის განსხვავება რუსეთში ერთსა და მეორეს შორის? ვინ შეადგენს უღეს—«რევოლიუციურ მუშათა მთავრობას», რომელწინადაც ასეთი გატაცებით ოცნებობდნ რუსეთის მუშები და გლეხები და მთელი ქვეყნის პროლეტარიატი? მას შეადგენენ ის დემაგოგები, რომელთაც ზღვა სისხლი დაღვარეს, რომელთაც საუტხოვოთ გასწყვიტეს და განადგურეს ყოველივე, მაგრამ არაფრის შექმნა კი არ შეუძლიათ.» და კიდევ მეტი. ისინი ყოველ შემოქმედებით ძალას შეუბრალებლათ ახშობენ. «პროლეტარიატის დიქტატურა გადაიქცა მკიდროთ შეკავშირებულ დემაგოგათ მკირე ჯგუფის დიქტატურათ, რომელნიც მაგრათ ჩაფრენიან ხელის-უფლებას და მხოლოდ მას იცავენ: ხელისუფლება მათთვის მიზნათ იქცა და მას შესწირეს მსოფლიო რევოლიუციის და კომუნისში იდეები. დაუგვირდით რ. კ. პ. პოლიტიკას და კომინტერნის ტაქტიკას. ერთიც და მეორეც მხოლოდ «მუშათა და გლეხთა მთავრობის» მაჩანჩალებია. ცველა ეს ცრილობები, საერთო დადგენილებები და რეზოლიუცია, ეს მხოლოდ ბალაგანია საქმეში ჩახედული კაცისათვის.» ყოველივე ეს წინასწარ მომზადებულია სოვნარკომსა და გლაგკომებში და ყოველივე მხოლოდ მათი ხელისუფლების გამაგრებას ემსახურება.

ბევრ კომინტერნის წევრებს არცკი უნახავთ

რუსეთის სინამდვილე. ისინი დაყავთ საგანგებოთ მოწყობილ მიტინგებზე, სადაც ლაპარაკობენ მათგან დარიგებული და მოცივნილი ორატორები და მათ კი არწმუნებენ—ეს რუსეთის მუშებია. რუსეთის მუშები დღეს უფრო დამონებული და დაჩაგრული არიან, ვინემ მეფის დროს იყვნ.

ამხანაგებო! რუსეთის მუშათა მასსა მიხვდა, რომ ის მოატყუეს, და სურს გაგაფრთხილოსთ თქვენ მანდ, დასავლეთში, რომ თქვენ მაინც აღარ მოსტყუდეთ. არ დაუჯეროთ ამ ახლათ მოვლენილ ბულბულებს ლამაზ სიმღერას. მჭიდროთ შეკავშირდით და დაიცავით ერთი მთლიანი ფრონტი ისე, როგორც ამას გიკარნახებთ თქვენ პატიოსანი გული მუშის, და არა ისე, როგორც გიქადაგებენ ეს დიდათ გონიერი, დიდათ გამოცდილი, მაგრამ მატყუარობასა და გათახსირებაში გამოქაჩრაკებული დემაგოგები, რომელთა რკინის მუშტით მიწასთან გასწორებულია აქ, რუსეთში, ცოველივე რევოლიუციური, და ცოველივე, რაც ნამდვილ თავისუფლებას და სინართლეს წარმოადგენს.

მიმართვა ასე თავდება: ჩვენ ბრალს ვდებთ აშკარათ და ღიათ რ. კ. პ. ხელმძღვანელებს, რომელნიც იმავე დროს არიან ხელმძღვანელები საბჭოთა ხელისუფლების, იმაში, როს მათ შეგნებულათ და წინასწარ მოფიქრებულათ უღალატეს მსოფლიო რევოლიუციას. ჩვენ ბრალს ვდებთ მათ იმაში, რომ თავის სულიერი თვისებების გამო ისინი აღუდგენ წინ ძალაუფლების დამათრობელ გავლენას და მას ანაცვალეს მთელი მუშათა კლასის და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები. ჩვენ ბრალს ვდებთ მათ იმაში, რომ ისინი ახალი ბურჟუაზიის მესვეურათ გამოდიან, რომელიც უფრო სასტიკია და მტაცებლური, ვინემ ძველი. კიდევ მეტი: მათ შემოიღეს უსასტიკესი ზომები მუშების წინააღმდეგ და სისხლში ახრჩობენ მათ ბრძოლას თავის ინტერესებისათვის და ასე უსაზღვრო ექსპლოატაციას აბატონებენ.

ჩვენ რუსეთის მუშები, რომელნიც მოკლებულნი ვართ კოალიციას და გაფიცვის უფლე-

ბას, ამ მიმართვით ვაფრთხილებთ თქვენს ლეულ ამხანაგებს. დაე ეს განცხადება დაედვას საფუძვლათ დართო გამოძიებას, რომელიც დამტკიცებს მის სისწორეს და გამოარკვევს რუსეთის მუშათა მდგომარეობას. ჩვენ საქიროთ მიგვაჩნდა გვეჩვენებია თქვენთვის ეს რევოლიუციის დაბალმდებული ადგილი და ამით მოგვეხადა ჩვენი ვალი. დაე იცოდენ ეს დასავლეთის ამხანაგებმა. ჩვენ ვერ ვპოულობთ სიტყვას ცველა იმის ასაწერათ, რაც გაუჩირებება გადაიტანა რუსეთის შეგნებულმა მუშამ.

ჯგუფის მონ. მიასნიკოვი, ბატურინი.

მოსკოვი. 14 მარტი, 1922 წ.



მუშები გაურბიან კომუნ. პარტიას.

კომუნისტების ანტიმუშური პოლიტიკა უკვე ნაცოფს იღებს. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს კომუნისტური პარტიის 70% არამუშებისგან შესდგებოდა. მაგრამ ის მცირე პროცენტიც კი, რომელიც დღემდე კიდევ შერჩა პარტიას, ველაზ ურიგდება მის ქვეყნისა და მუშათა კლასისათვის დამღუპელ მოღვაწეობას და იქიდან გარბის. ასე მაგალითად, ცენტ. კომიტეტის ცნობით მეტალისტების კავშირში 1922 წ. აპრილში ითვლებოდა (მთელ რუსეთში) 560 ათასი წევრი, მათში კომუნისტები 50% შედიოდნენ, უკანასკნელ დროს მათი რაოდენობა 3% ჩამოვიდა, ფეიქრების კავშირის 300,000 წევრში ისინი შეადგენდნენ 3%, ახლა მბოლოდ 1 1/2%, ქალაქთა მუშების კავშირში (170 ათასი წევრი ყავს) 8%-დან 5%-მდე ჩამოვიდა, შაქრის ქარხნების მუშათა კავშირში ახლა 1% შეადგენენ წინანდელი 3% მაგიერ, თამბაქოს მუშებში 4% იყვნ, ახლა 2% შეადგენენ. ასე გაურბიან პარტიას კომუნისტებისგან მოტყუებული რუსის მუშები. პარტიამ თავისი პოლიკით გასწვციტა ყოველგვარი კავშირი პროლეტარიატთან და უკანასკნელიც მისდამი სულ უფრო და უფრო მტრულ განწყობილებას ერს. კომუნისტები დღეს ქეშმარიტათ კომისიჩენს პარტიას წარმოადგენენ.



საქარ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის არა-
ლევალური კონფერენციის ანგარიში
(იხ. „თავ. საქართ.“ № 21)

3. კომუნისმი და სოც.-დემოკრატია.

მსოფლიო ომმა დიდი კრიზისი და გაპარტა-
ხება მიაყენა მსოფლიო მუშათა კლასს, არა
როგორც სახელმწიფოებრივ-ეროვნულ საზღვ-
რებში, ისე საერთაშორისო ფარგლებში; დაქ-
საქსა, ჩააქრო და დასუსტა იგი ორგანიზაციუ-
ლათ და იდეოლოგიურათაც. თითქმის ყველა
სახელმწიფოებში გაითიშა სოციალისტური
პარტიები და მთლიანი მუშათა ინტერნაციონა-
ლიც გაიყო. მუშათა მოძრაობის დაავადების
უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია პრიმი-
ტიულ-სტიქიური მოძრაობა ეკონომიური ოა-
ნასწორობისაკენ, ეგრეთ წოდებული კომუნისტ-
ბოლშევიკური ტაქტიკა, რომელმაც სრული
და კლასიკური ფორმა მიიღო კულტურულათ
და ეკონომიურათ ჩამორჩენილ და პოლიტიკუ-
რათ განუვითარებელ რუსეთში და რომლის
პრაქტიკული ცდა უძლეური გამოდგა ევროპის
სახელმწიფოებში. ეს მოძრაობა იყო და არის
მუშათა კლასის ქვედა ფენების, სოციალისტუ-
რათ ნაკლებათ განვითარებულ მასების იდეო-
ლოგია, ასულდგმულებული მომხმარებელი სო-
ციალიზმის იდეით, და მოკლებული მეცნიე-
რულ სოციალიზმის აზრს.

უკანასკნელ წელს მუშათა კლასი საგრძნო-
ბლათ თავისუფლდება მსოფლიო ომის წყეული
მემკვიდრეობიდან. მუშათა მასების საღი და
ძლიერი ლტოლვა ორგანიზაციულ მთლიანობი-
საკენ უეჭველათ მიიღწევს თავის მიზანს და
ახლო-მომავალში უნდა დაგვირგვინდეს ინტერ-
ნაციონალის გამთლიანებით.

ამავე დროს ეს უკანასკნელი წელი შეიქმნა
კომუნისმი-ბოლშევიზმის საბოლოო გაკოტრე-
ბის და იდეური დამარცხების წელად. ევრო-
პაში კომუნისტური ტაქტიკა ყველგან ხანმო-
კლე და დამღუპელი გამოდგა. უნგრეთი, ბავა-
რია, ისპანია, იტალია. რუსეთში კომუნისტუ-
რი დიქტატურის ხანგრძლივობა აიხსნება რუ-
სეთის განსაკუთრებული პირობებით; სახელ-
დობრ რუსეთის სამეურნეო, კულტურულათ,
პოლიტიკურათ ჩამორჩენით. აქ კომუნისტური
დიქტატურა დაეპატრონა ხელისუფლებას ეროვ-
ნულ რევოლიუციის პროცესში. და ძალაუფ-

ბურათ, ობიექტიურათ, გახდა დიდძალი
ბურჟუაზიულ რევოლიუციის მეთაურთა, მუშა-
თა კომუნისტები სუბიექტიურათ ისახავენ მიზ-
ნათ, კანონმდებლობენ და მოქმედებენ სოცია-
ლიზმის დასამყარებლათ.

ამით აიხსნება, რომ 4 წლის განმავლობაში
იმდენათ იყო ძლიერი რუსეთის კომუნისტურ-
ბოლშევიკური დიქტატურა, რამდენათაც ის
მეთაურობდა ანტიდედალურ-ანტიომეწიკურ
ბრძოლას, ე. ი. აგრძელებდა თებერვლის რე-
ვოლიუციის იდეას. ხოლო სრულიად სუსტი,
უმწეო და რეაქციონური იყო იგი იმდენათ,
რამდენათაც მიზნათ ისახავდა საზოგადოების
კომუნისტურათ გარდაქმნას. ამ გვარათ ცველა-
ფერი ის, რაც არის პროგრესიული რუსეთის
დიქტატურის ისტორიაში, არის არა კომუნის-
ტური ტაქტიკიდან გამომდინარე, არამედ რუ-
სეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუ-
ციის აუცილებელი ისტორიული კარნახი, ხო-
ლო ცველაფერი ის, რაც ამ ხელისუფლების
მოღვაწეობასა და ისტორიაში იყო წმინდა კო-
მუნისტური სპეციალურ-ბოლშევიკური, ცვე-
ლაფერი ეს უკლებლივ და სრულიად სოცია-
ლიზმის ინტერესის თვალთახედვით წარმოად-
გენს ძლიერ რეაქციას, საშინელ ჭრილობასა
და დამარცხებას მუშათა კლასისათვის.

უკანასკნელმა წელმა სავსებით ამოწურა და
გადასჭრა იდეური დავა სოციალისტურ-დემო-
კრატიულ და კომუნისტურ მეთოდებს შორის.
რუსეთის კომუნისტების ცდა სამარცხვინო
დამთავრდა, და დამარცხდა იგი სწორეთ
გვარათ, როგორც ამას მოითხოვდა ბურჟუა-
ზიის არა წუთიერ-კლასობრივი, არამედ უფრო
მკვიდრი და შორეული ისტორიული მიზან.

კომუნისტურ-ბოლშევიკურ მეთოდის ასეთი
დამარცხება დიდ პოლიტიკურ ზიანს აყენებს
საერთოდ სოციალიზმის იდეიას და მუშათა
კლასის მოძრაობას.

მერმე ჩამოთვლილია ბოლშევიკური დიქ-
ტატურის შედეგები, რომელიც უარყოფდა ცვე-
ლა დაპირებების: ზავის, პურის, თავისუფლე-
ბის, თვითგამორკვევის, საწარმოო განვითარე-
ბის და სხვ.

შემდეგ რევოლიუცია აღიარებს, რომ იმედი
სოციალისტურ რევოლიუციისა დასავლეთ ე-
როპაში არ გამართლდა. ევროპის მუშათა
კლასმა არ იცნო მოსკოვის ტაქტიკა და არ

11814



გაყვა მის ლოზუნგებს. სამაგიეროთ, მოსკოვმა მოახერხა მუშათა პარტიებში განხეთქილების და შუღლის დათესვა. მან დიდი ენერჯის და ხარჯის გაღებით შესძლო შედარებით მცირე ჯგუფები მოეგლიჯა სოციალისტურ პარტიებისთვის და შეექმნა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელსაც მოსკოვი ამოქმედებს რუსეთისა და მისი მთავრობის ინტერესების მიხედვით.

მაგრამ ევროპის რევოლიუციასზე გულაცრუებულმა მოსკოვმა თვალი აღმოსავლეთს მიაკვრო. და მისი იდეოლოგია, რომელიც არ გამოდგა დასავლეთ ევროპის სოციალისტური რევოლიუციისათვის აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს მოეგლინა ეროვნულ განთავისუფლების მქადაგებლათ და წარმმართველათ.

ამავე დროს სოციალისტურათ უმწვერ კომუნისტური მთავრობა თანდათან კარგავს ძველ სახეს და ნაციონალისტურ ნიადაგზე მაგრდება. ჩაგრული აღმოსავლეთის მეთაურის როლი მას ხელს უწყობს სწრაფათ და ადვილათ გადავიდეს იმპერიალისტურ პოლიტიკასზე. და არც ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას არ გამოუჩენია ისეთი ჩუმი, აშკარა და უტიფარი იმპერიალისტური და დამპყრობელი პოლიტიკა, როგორც გამოიჩინა და იჩენს რუსეთის კომუნისტური მთავრობა. მან იარაღით დაიპყრო მთელი რიგი ქვეყნებისა და მათ შორის საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი და სხვ.

ყოვლად ცინიკურათ სიტყვის გატეხა, წარმოუდგენელი პირშაობა, მოსყიდვა, ქრთამი, პროვოკაცია, ჩვეულებრივი ბრძოლის იარაღია ამ ახალი კომუნისტ-იმპერიალისტური მთავრობის. ბურჟუაზიული დიპლომატია არას დროს არ ყოფილა ფაქიზი ზნეობის მატარებელი, მაგრამ იმის მსგავსი რამ, რაც ამ დარგში რუსეთის კომუნისტურმა დიპლომატიამ გამოიჩინა, ჯერ მიუწოდებელია. მოღალატეობა და მლიქვნელობა, პირმოთწეობა და ფარისევლობა, წარმოუდგენელი უსირცხვილობა,—ასეთი გამოდგა დიპლომატია იმ პარტიისა, რომელიც ოდესღაც თავგამოდებით ებრძოდა საიდუმლო დიპლომატიას.

მაგრამ მთავრობამ, რომელმაც არამც თუ სოციალიზმი ვერ დაამყარა, არამედ წარმოებასთან ერთათ თვით მუშათა კლასიც გააჭრო, ხოლო არსებული სიმდიდრე გაფლანგა, შეუ-

ძლებელია თუნდა ნაციონალისტურ-იმპერიალისტურ ნიადაგზე გამაგრდეს, ვინაიდან გაპარტახებული რუსეთის კომუნისტური პოლიტიკის წყალობით თვითონ საკოლონიოთ გამწადებული ვერ შესძლებს იმპერობას, ე. ი. სხვების თავის კოლონიათ გადაქცევას.

ამ გვართ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ვერ მოაწყო სოციალისტური მეურნეობა რუსეთში, ვერ უმეთაურა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას სოციალისტური რევოლიუციების მოსახდენათ, ვერ დაამხო კაპიტალისტური მთავრობები, რომელთაც მან ომი გამოუცხადა. ვერც აღმოსავლეთს გაუწია მეთაურობა, ვერ გაანთავისუფლა კოლონიალური ხალხი, პირ-იქით უკვე განთავისუფლებულები, სადაც ეს მოახერხა, თვითონ დაიპყრო. თვით რუსეთის იხეთ პირობებში ჩაადგო, რომ მასზე დაბეჩავებული, დაჩაჩანაკებული და გაჭირვებული სახელმწიფო ამ ქამათ არ არსებობს ქვეყნათ. ცველა ამის შემდეგ კომუნისტებს აღარასფერი დარჩენიათ, ამოსწურეს რა უნაყოფოთ და სასტიკი მარტხით ცოველგვარი ზომები და საშვალეებანი, ან უნდა წასულიყვენ ისტორიულ სცენიდან, ან და თავისი თავი უარყოთ და დაჩოქილიყვენ ევროპის ბურჟუაზიის წინაშე და დახმარების სათხოვნათ. და აი სწორეთ ვგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახელით კომუნისტურმა ბელადებმა გადასწყვიტეს კომუნისტური პოლიტიკის თანდათან ლიკვიდაცია. კონცესიები უცხოელებს, შემდეგ შინაურ ბურჟუაზიასაც, სასურსათო გადასახადი, მიწის იჯარა, მიწათმფლობელობის ფორმის თავისუფლება, კერძო საკუთრების რამდენიმეთ აღდგენა უძრავ ქონებაზე, ფაბრიკა-ქარხნების ნაწილობრივი დენაციონალიზაცია, სამრეწველო წარმოებათა არენდით გაცემა, ძველი ბურჟუაზიულ-ფინანსიური სისტემის აღდგენა სახელმწიფო ბანკითურთ, მეფის ვალების ცნობა და სხვ. ყველაფერი ეს არის კომუნისმის უარყოფა და კაპიტალიზმის დამკვიდრება. ამ გვართ, ხდება სრული ლიკვიდაცია კომუნისტურ ეკონომიკისა.

თავის არსებობის გასახანგრძლივებლათ ევროპის ბურჟუაზიის წინაშე დაჩოქილი რუსეთის კომუნისტები იძულებული შეიქნენ ერთგვარი ცვლილება შეეტანათ თავის პოლიტიკაში მუშათა ინტერნაციონალის მიმართ, გა-



ქვეყნული
ინფორმაცია

თიშვისა და განხეთქილების მოციქულები, მუშათა ფრონტის გაერთიანების მომხრეთ გამოუსულიყვნენ.

მაგრამ ისტორიამ უკვე გადასჭრა დავა სოციალიზმისა და კომუნისმის შორის, მეცნიერულ სოციალიზმის და ანარქო-ბოლშევიკური ტაქტიკის შორის. რუსეთის საშინელი ექსპერიმენტი არის პირველის იდეური გამარჯვება და მეორის დამარცხება. ამიტომ, თუმცა სოც.-დემოკრატია მუდამ იცავდა მუშათა ფრონტის მთლიანობას და ეხლაც ამ ნიადაგზე რჩება, მაგრამ მუშათა კლასისა და სოციალიზმის ინტერესი არამც თუ არ მოითხოვს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ცოველგვარ იდეურ დათმობას, პრინციპიალურ კომპრომის კომუნისმის მიმართ. ანარქო-ბოლშევიკური კომუნისმი უკვე განწირულია. უკვე იკურნება ამ სენისაგან ის ნაწილი მუშათა მასის, რომელიც ამით იყო დაავითმყოფებული. სოციალ-დემოკრატიის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ გაჯანსაღების პროცესს, კომუნისმის ბურჟუიდან გამოფხიწლებული მუშათა ჯგუფი შემოიკრიბოს ერთ მთლიან სოციალისტურ პარტიათ თითოეულ სახელმწიფოში და ასე ერთ მთლიან მუშათა ინტერნაციონალში. ამავე დროს სოციალ-დემოკრატია მთელი თავისი ენერგიით უნდა გამოესარჩლოს და დაიფაროს კომუნისტი მუშები, თუ მას დარბევით დაემუქრა გამარჯვებული ბურჟუაზია, ამა თუ იმ ქვეყანაში ნოსალოდნელ რეაქციის დროს.

4. მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ამხ. მადონერი ცენტრალური კომიტეტის ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საოკუპაციო ძალა-უფლების უღლის ქვეშ პარტიას მოესპო ცოველგვარი საშუალება ლეგალური მუშაობისა და იძულებული შეიქნა შესდგომოდა არლეგალურ მოღვაწეობას. შეკითხვებისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოსიმიწა რა კონფერენციამ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება დაპრობილ საქართველოში პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალ-დემოკრატიისთვის ნაცადი ტაქტიკით და რევოლიუციონური გზით აწარ-

მოვა მთელი წლის განმავლობაში ბრძოლა დაპირ აუტანელ პირობებში და საერთოდ სისწორით უხელმძღვანელა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცველა ორგანიზაციებს. კონფერენცია იძებს გამოსთქვამს რომ ცენტრალური კომიტეტი კვლავინდებურათ მთელი ენერგიით განაგრძობს ამ სწორი გზით წინსვლას, ნაცადი ტაქტიკით ბრძოლას და მუშათა კლასისა და დემოკრატიის ხელმძღვანელობას.

5. ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ.

ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები მოხსენებას აკეთებენ პარტიულ მუშაობის და ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. მთელი რიგი მომხსენებლების აღნიშნავენ, რომ დღიდან საქართველოს ოკუპაციისა, სოციალ-დემოკრატია თითქმის მთელ რესპუბლიკაში გამოცხადდა კანონს გარეშე და ორგანიზაციებმა განიცადეს ნამდვილი დარბევა. კომუნისტურმა პარტიამ, რომლის სათავეში თითქმის ცოველგან, პირველ ხანებში მაინც, რუსეთის წითელი არმიების ხელმძღვანელები იდგენ, მიითვისა ადგილობრივი ორგანიზაციების ბინები და პარტიის ცოველგვარი ქონება. ასევე მოხდა რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, სადაც კომუნისტური პარტიის ცეკა დაეპატრონა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საკუთარ შენობას, პარტიის სტამბას და რედაქციას. დამპყრობლებმა კონფისკაცია მოახდინეს პარტიის მთელი ქონების, მათ შორის, მიითვისეს და ნახევრად განადგურეს პარტიული ყრილობების ოქმები და ისტორიული მასალები საქართველოს სოც.-დემოკრატიის 30 წლის წარსულიდან. ამ ნივთიერ განადგურებას და დარბევას მოცვა საშინელი ტერორი და დევნა სოც.-დემოკრატ. მოღვაწეებისა. რეპრესიები არ ასცდა არც ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციებს, რომელთაგან დღესაც სხედან ქუთაისის ციხეში მრავალი მოსწავლენი. მიუხედავად ამისა მუშაობა მთელი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. გასსაკუთრებით აღნიშნავენ დედეგატები სოც.-დემოკრატიის გავლენის ზრდას თითქმის ცველა რაიონებში. სოც.-დემოკრატიულ პარტიას ამ დპარბის ხანაში მოემატა ახალი ძალა მუშებისა, გლეხებისა და ახალგაზდობისა, ამათ დაიკავეს დაზოცალთა და ციხეებში გამომწველულთა ადგილები. დღეს პარტია წარმოადგენს

ერთ მთლიან და ძლიერ ორგანიზაციას. თუმცა არალეგალურს, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანს. პრესის უქონლობა პარტიას საშვალებას უსკობს თავის დროზე გააშუქოს ყველა სიზოგადობრივი მოვლენანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ცენტრი, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები ხელთაწერ თეზისებით და არალეგალურ ფურცლებით მცირედ მაინც ავსებენ საქართველოსთვის ამ უჭვეულო და თვითმყრობელობის დროსაც არ ნახულ ნაკლს.

მოხსენების შემდეგ კონფერენცია ერთხმად დებულობს შემდეგ რეზოლიუციას: «მიუხედავად მუშათა კლასისთვის და პოლიტიკურ პარტიისთვის ჯერ არ ნახულ დევნისა და ტერორისა საოკუპაციო ხელის უფლების მიერ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდენ არალეგალურ არსებობას და დამპყრობელთა მიერ ერთის დაკვრით განადგურებულ ორგანიზაციებს ახალ რიგებით ამაგრებენ. სოც.-დემოკრატიას, როგორც მასიურს და ათეულ წლობით ბრძოლაში გამობრძმედილ პარტიას, რომელიც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მუშათა მოძრაობას არ შეეძლო უხეში ძალის ერთის დაკვრით შეეწყვიტა თავისი ხანგრძლივი და ბრძოლით გაკაქებული არსებობა. აღნიშნავს რა კონფერენცია სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თავდადებულ მუშაობას დამპყრობელთა ბატონობის უღლის ქვეშ, მოუწოდებს ადგილობრივ ორგანიზაციებს და ბრძოლაში გამობრძმედილ პარტიულ მუშაკებს მტკიცეთ გამაგრონ პარტიული რიგები, გააღრმავონ მუშაობა და სოც.-დემოკრატიის ციხე-სიმაგრე ადგილობრივი ორგანიზაციები სასურველ სიმაღლეზე დააყენონ.

6. პროფესიონალურ მოძრაობაზე.

სამი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში პროფესიონალურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ის იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიებიდან და სავსებით ემყარებოდა მუშა-მოსამსახურეების სრულ თვითმოქმედებას.

ოკუპაციის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურათ შეიცვალა. პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელი ცენტრები გარეკილ იქმნა რუსის ჯარის მიერ, ხოლო მათ ადგილს საოკუპაციო ხელისუფლებამ თავისი დანიშნა. მუ-

შა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვის უწყის მიერ დღეს არსებული ეგრეთწოდებულ პროფკავშირების ცენტრები გადაიქცნენ პოლიტიკურ გარყვნილების სკოლათ და ოკუპაციის და რუსიფიკაციის პირდაპირ იარაღათ.

მიუხედავად იმისა, რომ ახლო წარსულ არჩევნებში, სადაც კავშირების კრებებზედ, წინააღმდეგ სამხედრო დიქტატურისა და წინასწარი ველური რეპრესიებისა გაიმარჯვა საღმა მიმდინარეობამ, არჩეული პირები გადაცნებულ, ან და დატუსაღებულ იქმნენ, ხოლო კავშირები დაშლილი,—ს. დ. კონფერენცია მოუწოდებს თავის წევრებს და თანამგრძობებს აქტიური მონაწილობა მიიღონ ამ არსებულ კავშირების ორგანიზაციებში, მოითხოვონ კავშირების დამოუკიდებლობა საოკუპაციო და სამხედრო კაპიტალიზმის მატარებელ ძალა-უფლებისგან და იბრძოლონ მუშა-მოსამსახურეების უკიდურეს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. კონფერენცია მიმართავს ინტერნაციონალს მთელი თავისი ცნობილ ავტორიტეტით დაეხმაროს საქართველოს პროფკავშირების დეზანექსიას.

7. შიმშილობის შესახებ.

გაზაფხულზედ განსაკუთრებით მთელ დასავლეთ საქართველოს ემუქრება შიმშილით განადგურება, რუსეთის ჯარმა, რომელიც კალისავით მოედო ჩვენს ქვეყანას ოკუპაციის შემდეგ და ეგზეკუციის სახით დაბარგდა მთელ საქართველოს სოფლებში, ერთი მხრით შთანთქა მომარაგებული ჭირნახული, და მეორე მხრით გლეხკაცობის სახლებში ცხოვრებით და თავაშეებული ქცევით ხელი შეუშალა მშრომელ ხალხს გულდამშვიდებით გასულიცვენ ცანების დასამუშავებლათ.

საქართველოს ს.-დ. კონფერენცია მოიწოდებს მთელ ერს გაუმჯელავდეს მომავალ უბედურებას. ერის ცხოველი ძალების თვითმოქმედება სურსათის შესაძენათ და ოკუპაციის, ამ მთავარი ბოროტებისგან განთავისუფლება, მთავარი საშუალებაა შიმშილის დასაძლევათ.

კონფერენცია მიმართავს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანისას მიიღოს სათანადო ზომები მომავალ უბედურების შესამსუბუქებლათ და მადლობას უცხადებს იმ უცხოელ ორგანიზაციებს, რომელნიც უანგაროთ ეხმარებიან ოკუპაციით დამშვეულ ქართველ ერს.



8. კოოპერატიულ მოძრაობაზე.

სოც.-დემ. კონფერენციას უდავოთ მიაჩნია რესპუბლიკის კოოპერაციის დამოუკიდებელი არსებობა, რაც ხელს სრულებით არ უშლის მეზობელ კოოპერატივებთან ამა თუ იმ კითხვებზე შეთანხმებას. მაგრამ ბოლშევიკების ხელისუფლება მას დანგრევით ემუქრება. ამიტომ კონფერენცია საუბრობს სთვლის ეცნობოს საერთაშორისო კოოპერატიულ ცენტრს, რომლის წევრია საქართველოს კოოპერაცია, მისი დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა. ის სრულებით დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო კოოპერაცია თავისი ავტორიტეტით ააყენებს ისედაც დარბეულ ქართველ ერს ამ ახალ უბედურებას, რესპუბლიკის კოოპერაციის ანექსიას.

**დასასრულ კონფერენციამ მიიღო
შემდეგი დადგენილებანი:**

**საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეს
ნოე შორდანიას.**

ძვირფასო მასწავლებლო!

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია მოგესალმება თქვენ, — ჩვენს და მთელი ქართველი ერის ჯალარა ბელადს, მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, თქვენი უთვალავი მოწაფეები და თანამგრძნობნი განაგრძობენ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისა და საკაცობრიო იდეალებისათვის. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ჩქარა დადგება საქართველოს განთავისუფლების ქაში და თქვენც კვლავ გიხილავთ ჩვენ შორის.

**საქართველოს დამფ. კრების პრეზიდიუმს:
ნ. ჩხეიძეს, ექ. თაყაიშვილს და ს. მდივანს.**

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, სავსებით დარწმუნებული, რომ ჩქარა აღსდგება საქართველოს რესპუბლიკის შეღავათი უფლებები და მას სათანადო ჩაუდგება ისევ ხალხის თავისუფალი ნების განმმხატველი უმაღლესი ორგანო და მისი კანონიერი მთავრობა.

შემდეგ გაეგზავნა მისალმება მთელ რიგ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადებს.

**საქართველოში უციო ახალგაზრდობას.
ძვირფასო ამხანაგებო!**

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიის არა-ლეგალური კონფერენცია სივარულით სალამს გიძღვნის თქვენ, საქართველოს დემოკრატიის მომავალ იმედს. ჩვენ დარწმუნებული

ვართ, რომ მთელი თქვენი ახალგაზრდული გაცეებით ჩვენს ბრძოლაში გამოაწეულ და წინახედულ დემოკრატიასთან ერთად იბრძობებთ განურჩევლათ მიმართულებისა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის და ბაჭინვალე საკაცობრიო მომავალისთვის.

ქართველი ერის დევნილ შვილებს.

ქართველი ერის უდიდეს ტკივილების დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ძაძვითაა მოსილი, როცა უცხო ძალების ოკუპაცია ანადგურებს დამოუკიდებელ საქართველოს, სოც.-დემოკრატიული პარტიის არა-ლეგალური კონფერენცია, შეკრებილი კავკასიონის მთების მივარდნილ ტყეში, დევნილი დამპყრობელთაგან და კანონს გარეშე გამოცხადებული ოკუპანტების მიერ, მოგესალმებათ თქვენ, ქართველი ერის საუკეთესო შვილებს, რომელნიც უცხო ძალამ გაიძულათ მიგეტოვებიათ სახლ-კარი, ოჯახი, მშობლიური სოფელი და ქალაქი, ხელი აგელოთ თქვენთვის საცვარელ საქმეზე და ამის ნაცვლათ გახიზნულიყავით ტყეებში, მთებში და მიუვალ კლდეებში. ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველ ერს არა ერთხელ განუცდია უცხო ველურ ხალხთა შემოსევა, არა ერთხელ გახიზნულან მთებში საქართველოს თავისუფლებისათვის იარაღით მებრძოლი ვაჟ-კაცები, მაგრამ ტყეთ გაპირილ დევნილებს საქართველოს თავისუფალი მთები უკაქებდა სულს და უზრდიდა ენერგიას სამშობლოს განთავისუფლებლათ.

ეხლაც, ქართველი ერის ამ უდიდეს ტრადედიის დროს, თქვენ ტყეთ გაპირილ დევნილნი, ქართველი ერის ისტორიული იმედით შეინახეთ გულში, იმ გარდაუვალი რწმენით, რომ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მოწყურებულ ქართველ ხალხს ვერ მოდრეკს უხეში დამპყრობელი რუსეთის ძალა.

დაჰკრავს საათი საქართველოს განთავისუფლებისა და თქვენც, ქართველი ერის დევნილო შვილებო, ერის თავისუფლების დროში მთებიდან ბარში გამარჯვების ციყინით დაეშვებით.. *)

6 თებერვალს დღის 2 საათზე თავმჯდომარე ს. ჯიბლაძე კონფერენციას დასრულებულათ აცრხადებს და მოუწოდებს ამხანაგებს ამის შემდეგ კიდევ უფრო ენერგიულათ და ორგანიზაციულათ მტკიცე მუშაობა აწარმოვონ.

**კონფერენციის თავმჯდომარე: ს. ჯიბლაძე.
მდივანი: ნ. ნიალელი.**

7 თებერვალი 1922 წელი.

*) უადვილობის გამო კონფერენციის ანგარიში შემოკლებით იბეჭდება.



საქართველო სოც.-რევოლუციონერების პარტიის ყრილობა.

ჩვენ მივიღეთ საქართველოს სოც.-რევ. პარტიის ყრილობის მასალები, რომელსაც შემოკლებით ვებუძვით და რომლიდან ნათლათ სჩანს, თუ როგორ ბოროტათ მოხმარა, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის პირველ ხანებში, პარტიის ნდობა შენგელაიამ და გობჯიამ. ამის გამო მისი ამხანაგები იძულებული შეიქნენ კოპტაკის საშვალკით შეექნათ ახალი ცეკა ყრილობის მოწვევადის.

«ცეკას პლენუმმა მესამე სესიაში ვერ დაასრულა მუშაობა და დაადგინა მიმდინარე წლის 15 იანვრის ყრილობის მოწვევა დღიდან დადგენილების მიღებისა ორი თვის განმავლობაში. ყრილობის მოწვევა მიანდო პრეზიდიუმს და თავის თავი გამოაცხადა დაშლილათ. პრეზიდიუმმა ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა ცრილობის მოწვევა რაიონული პრინციპის მიხედვით 1922 წ. 20 მარტისათვის. დღევანდელ რიცხვი განისაზღვრა 35-ით, თავის დროზე გაეგზავნა ყველა რაიონებს ოფიციალური მოწვევითი ბარათი პრეზიდიუმის სახელით. დანიშნულ დროს ყრილობაზე გამოცხადდა და ოფიციალურათ რეგისტრაციაში გატარდა 22 დღევანდელი. 20 მარტის საღამოს 7 საათზე ცეკამ პრეზიდიუმის სახელით ყრილობა გახსნა და მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა მას ამხ. დილიანმა, რის შემდეგ არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი, და სამანდატო კომისია. განხილულ იქნა ყველა საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში იყო შეტანილი და გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები.

მოგვყავს ზოგიერთი რეზოლიუციები.

რეზოლიუცია მომენტზე: «ევროპა თავს აღწევს ომის მიერ შექმნილ კრიზისს და საერთაშორისო იმპერიალისტური ფორტი ძლიერდება. მუშათა კლასი ვერ აღმოჩნდა ორგანიზაციულად საკმარად შეკავშირებული, რომ ბურჟუაზია საბოლოოდ დაეძლია და სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას დაპატრონებოდა. ამის ერთი მიზეზთაგანი არის მშრომელთა ფორტის მთლიანობის დაშლა, რაც სხვათა შორის გამოიწვია ბოლშევიკურმა რეაქციამ.

მომენტის უპირველესი მოთხოვნილებაა მუშათა ფორტის მთლიანობის აღდგენა, ერთი მუშური ინტერნაციონალის შექმნა.

ბოლშევიკურმა ტაქტიკამ შეტყობის ტაქტიკა, რომ ერთათ-ერთი გზა მუშათა კლასის აღზრდისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის არის დემოკრატიული გზა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიის ფარგლებშია შესაძლებელი შრომის სხვადასხვა ელემენტების ორგანიზაციულად დარაზმვა საერთო ანტიბურჟუაზიულ ფორტზე.

დეკლარაცია კი, რომელიც შენგელაიამ და გობჯიამ მიადებეს ცეკას 12 აპრილს, დგას საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, რაც ეწინააღმდეგება პარტიის პრინციპებს, ამიტომ ის გაუქმებულია.

ბოლშევიკების ანტი-სოციალისტური, ანტი-ეროვნული და ანტი-დემოკრატიული მოღვაწეობა საფრთხეს უმზადებს ქართველი ერის მომავალს და ქართველ მშრომელ მასების კაპიტალის უფლიდან განთავისუფლების საქმეს.

იღებს რა მხედველობაში ცოველივე ამას, საქარ. სოც.-რევ. პარტიის მესამე ყრილობას შეუწუნარებლად მიიჩნია პოლიტიკური თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამასთანავე ის კატეგორიულათ უარყოფს ცოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლებს უკანასკნელის წინააღმდეგ.

2. რეზოლიუცია გავითხე: გახ. «შრომას» 1921 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8-ში შელახულია პარტიის პრინციპები და ტაქტიკა. ამიტომ გამოცხადდეს ხსენებული ნომრები ანტი-პარტიულ ნომრებათ. ხოლო გახ. «შრომის» №№ 9, 10 1921 წ. სადაც სავებით დაცულია პარტიის პრინციპები და ხაზი, მიღებულ იქნას წმინდა პარტიულ ნომრებათ.

3. საქართველოს სოც.-რევ. პარტიის მესამე ყრილობა, გაეცნო რა ლეო ანდრიას ძე შენგელაიას და ივანე პავლეს ძე გობჯიას მოქმედებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, გამოირკვა შემდეგი:

1) ლეო ანდრიას ძე შენგელაიამ და ივანე პავლეს ძე გობჯიამ დგანან საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ლალატობენ პარტიის პრინციპებს, ტრადიციას და ეთიკას, განაგრძობენ ანტი-პარტიულ დეზორგანიზატორულ და ანტი-ეროვნულ მოქმედებას.

2) ამიტომ გამორიცხულ იქნან საქართველოს სოც.-რევ. პარტიიდან ლეო ანდრიას ძე შენგელაიამ და ივანე პავლეს ძე გობჯიამ.



3) დადგენილება ესე შედის ძალიში დღიდან მისი მიღებისა ცრილობის მიერ.

4) დადგენილება ესე ეცნობოს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, დამ. სოც.-დემოკრატ., სოციალ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტებს.

შენგელაია და ლლონტი. ლლონტი სინონიმა უპრინციპობის, უსინდისობის და ყოველივე სისაძაგლის. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში ამდენ ხანს იყო ერთა-ერთი პიროვნება თ. ლლონტი, რომელიც ყოველ პატიოსან ქართველს, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა, ეზიზღება მთელი მისი არსებით. რადგან ლლონტმა გვილატა გაგვყიდა, გამოჩნდა მეორე ლლონტი—ლ. ან. შენგელაია, რომელიც აღმოჩნდა თედო ლლონტის პოლიტიკური თანამშრომელი და მისი საეჭვო თანხების მოწარმე. მაგრამ განსხვავება ლლონტსა და შენგელაიას შორის იმაშია, რომ ლლონტი უფრო პირდაპირი და აშკარა მომქმედია, რაც მას შენგელაიაზე მალა აყენებს, შენგელაია კი ფარულად, ქურდულად მოქმედობს. სწორედ იმ ხანებში, როდესაც—სამედიატორო სასამართლოში სასვებით გამოაშკარავდა, რომ თ. ლლონტი ბოლშევიკ-მთავრობის «ნახლებნიკია», რომ მისი გაზეთი «სოციალისტ-ფედერალისტი» მიყიდულია, ბატონი ლ. შენგელაია საიდუმლოთ თანამშრომლობდა ლლონტთან, «სოციალ-ფედერალისტში» მ—ლის ფსევდონიმით და იღებდა სასყიდელს.


თანამშრომლობას განზრახ უმაღლავდა ამბავებს ჭყველ-დღეს ამხანაგებთან იყო. შემთხვები იყო, როდესაც მისი წერილი «სოც. ფედერალისტში» მასთან ერთად წაუკითხავს ამხანაგებს და მას არაფერი უთქვამს, რომ ეს წერილი მისია».

გარდა ამისა მასალებში დაწერილებით, დოკუმენტალურათ არის აღნიშნული ის, თუ რა ზნეობრივ პიროვნებას წარმოადგენენ ლ. შენგელაია და ივ. გობეჩია, როგორ დაეცენ ისინი ზნეობრივად, რის გამო სოც.-რევოლ. პარტია იძულებული შეიქნა გაერიცხა თავისი ყოფილი ლიდერები პარტიიდან.

ამხ. ილია წიკოტია

როგორც საქართველოდან გვაცნობინებენ, აპრილში, მეტეხში მოულოდნელათ გარდაიცვალა ახალგაზდა მოწინავე მუშა ილია წიკოტია. იგი მუშათა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც წარმოშვა 1905 წ. შემდეგ მეფის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლამ. დამარცხებულ მუშათა კლასზე რეაქციამ სასტიკი იერიშები მიიტანა, მისი საუკეთესო ნაწილი ციხეში ჩაყარა და ციხებიდან და კატორღაში გაგზავნა. ძველი იყო ამ დროს მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ძალები სოც.-დემოკრატიასა და მუშათა კლასს მანც ემატებოდა, ჩდებოდა მუშების ახალი ჯგუფები, რომლებიც ძველების ადგილს იჭერდნენ. ძველი გამოცდილი მუშა-მებრძოლის ამხ. მელიტონი ბერიშვილის მეთაურობით ერთი ასეთი ჯგუფი წარმოიშვა ქუთაისშიც, ამხ. მელიტონა იყო ამ ჯგუფის რევოლიუციონერი პირველი ნათლია. როდესაც 1910-12 წლებში რეაქციამ თფილისში ჩვენი ორგანიზაციები თითქმის სასვებით გაანადგურა, სოც.-დემ. პარტია იძულებული გახდა ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო ქუთაისში გადმოეტანა და აქედან ეხელმძღვანელა მოძრაობისათვის. პრაქტიკული მუშაობის მთავარი სულის ჩამდგმელი ამხ. მელიტონი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი უმთავრესათ იხმარიებდა ამ ახალგაზდათა ჯგუფს. ამხ. ილია მათ შორის იყო და იგი ყველაზე მეტ უნარს იჩენდა და მომავლისთვისაც დიდ იმედებს იძლეოდა. გაზეთის გავრცელება, მუშათა ცხოვრებიდან მასალების მიწოდება, ფულის შეკრება გაზეთისათვის, ჯგუფის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა. გარდა ამისა იგი კრავდა მუშების ახალ წრეებს და აგრეთვე ხელმძღვანელობდა ყოველგვარ არჩევნებს. ამხ. ილიამ მალე მიიპყრო ყველას ყურადღება, 1910 წლიდან იგი მუდამ ხელმძღვანელ ორგანიზაციაში იყო, წერაშიც გაიწაფა და ჩვენს გაზეთებში ხშირათ ათავსებდა წერილებს ი. სადემეტროველის ფსევდონიმით.

1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ილია არჩეული იქნა ქუთ. მუშათა საბჭოს აღმას. კომიტეტში, პროფესიონალურ კავშირების გამგეობაში ქუთაისის სოც.-დემ. კომიტეტში,



F 1294/1
1920
საქართველოს
ხელისუფლების
სამსახური

ქალაქისა და ერობის ხმონათ და სხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციებში. და მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, იგი ყველგან ენერგიულად მუშაობდა. გვარდიელთაც კი ჩაეწერა და როდესაც ამხანაგები ზუმრობით ეტკოდნენ—როგორც გაიგებს მტერი შენს ამბავს გაიქცევაო, ის უპასუხებდა—სხვა თუ არა, ავადმყოფების მოვლისთვის კარგ მებრძოლთ მაინც არ გავაცდენო. და მართლაც იგი ამხანაგებს ფრონტზეც არ ჩამორჩენია.

ამხ. ილიამ არც ბოლშევიკების წინაშე მოიხარა ქედი, სასტიკათ შეებრძოლა პროფ. კავშირებში და სხვაგან. და აი ბოლშევიკებმაც გასული წლის 29 აპრილს სხვა ამხანაგებთან ერთად ილიაც დაიჭირეს. ეს იყო პირველი რეპრესიები ბოლშევიკების. მათ ერთ კვირაში აავსეს ქუთაისის ციხე ძველი გამოცდილი მებრძოლებით. ილია მათ შორის იყო და მომავალს იმედიანათ შეყურებდა, მეცადინეობდა, ახდენდა ანკეტას ამხანაგებს შორის და თან თავის მახვილი ენით ცეცხლს ამხარულებდა. ბოლშევიკებმა იგი ამხ. გრ. ლორთქიფანიძესა და პარ. ჭიჭინაძესთან ერთად გაგზავნეს თფილისში, სადაც ერთხანს ჩეკის სარდაფში ამოღეს და შემდეგ მეტეხიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ ისევ დაატუსაღეს ქუთაისში და გადაგზავნეს ისევ მეტეხის ციხეში. მისმა სუსტმა ორგანიზმა ვერ გაუძლო კომუნისტების ჯალათურ რეჟიმს და მეტეხში დალია სული.

მშვიდობით ამხ. ილია, შენი უკვიანური სახე მუდამ დაუფიწყარი იქნება შენი ამხანაგებისთვის.

სი.ო.

რეზინი რუგენ ელუაფილი

10 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, სტამბოლში გარდაიცვალა ქუთაისის რაზინი რუგენ ელუაფილი. განსვენებული დიდი გავლენით და ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ ქართველ ისრაელებ შორის. მას იცნობდა აგრეთვე ქართველი საზოგადოებაც. იგი რამდენიმე ათეული წელი ხელმძღვანელობდა ქართველ ებრაელობას და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფანატიკოსი იყო თავისი სარწმუნოების, მაინც ცდილობდა ებრაელობის ქარ-

თველობასთან დაახლოებას და უნერგავდა მათ რწმენას, რომ ისინი ქართველების ძმები არიან და საქართველო მათი სამშობლოა. ამ ნიადაგზე მან ბევრი სიონისტი რუსი ებრაელი მტრათაც გაიხადა. და თუ საქართველოში ნიადაგი არ აქვს ანტისემიტისმს, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რაზინ რუგენსაც.

იგი დიდ მწრუნველობას იჩენდა აგრეთვე ღარიბი ებრაელებისადმი. ის მუდამ აგონებდა მის ჯამათს, რომ თავისი ღარიბ მოძმეთ უნდა დაეხმარონ და ცხოვრების მძიმე უღელი შეუმსუბუქონ. იგი ნამდვილი მამა იყო ღარიბებისა და ქვრივ-ობლების; ისინი მას სამშობლოდან გადმოხვეწილსაც კი ახსოვდა და იძულებულს ხდოდა სტამბოლში მყოფ ებრაელებს დახმარებოდნენ საქართველოში მყოფ გაქვირებულ მოძმეთ. ამავე დროს იგი თავის პირად ცხოვრებაზე ძლიერ ცოტას ზრუნავდა. თვით საქართველოში ამას მისი ღარიბი ქოხი ამტკიცებდა, ხოლო სტამბოლში ის, რომ წამლის ფულიც არ ეშოვებოდა.

მიუხედავად ცოველივე ამ გაქვირებისა და იმისა, რომ ექიმები ურჩევდნენ საქართველოში წასვლას, განსვენებულს არ უნდოდა მანამ დაბრუნება, სანამ საქართველოს არ დაუბრუნდებოდა მისი კანონიერი მთავრობა. მაგრამ არ დასცალდა და 11 მაისს იგი მისმა თანამემამულეებმა შავ მიწას მიაბარეს.

რომ მას დიდ პატივს სცემდა საზოგადოება, ამ დღემ დაამტკიცა: დასაფლავებას დაესწრო მთელი ქართველი ებრაელობა, ისპანელი ებრაელების ხაზამ ბაში, ყველა რაზინები, საქართველოს კონსული, ქართველი ემიგრანტები და სხვ. სალოცავში დიდი სიტყვა წარმოსთქვა ისპანურ ენაზე ისრაელების უფროსთა-უფროსმა რაზინმა (ხაზამ-ბაშმა), ქართულ ენაზე საქარ. მთავრობისა და ქართველების სახელით კონსულმა. ილაპარაკეს სხვებმაც.

ამავე დღეს მისი ცოლშვილის დასახმარებლათ შეაგროვეს საგრძნობი თანხა. ნიშნათ განსაკუთრებული პატივისცემისა, ხაზამ-ბაშის განკარგულებით, იგი დასაფლავეს ისრაელთა ძეგლის-ძველ «იერუსალიმის» სასაფლაოზე.

უკვმარტათ, რაზინ რუგენის სახით ქართველ ებრაელთა საზოგადოებამ დაკარგა საუკეთესო წევრი.

დამსრწე.